გამოცემა ზაქარია გრიქურովის წიგნის მაღაზიისა.

# ათას ერთი ღამე

ტფილისი

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა ნ. ქუჩა № 21.
1895

გამოცემა ზაქარია გრიქურეოვის წიგნის მაღაზიისა.

# ათას ერთი ღამე

ყრმათა საკითხავი

**არაბული ზღაპარი**

სურათებით.

---

თარგმანი

**მოსე ჯანაშვილისა.**

---

**ტფილისი**
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა ნიკ. ქუჩა № 21.
Типографя М. Шарадве, и К° Ник. улица, № 21
1895

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28-го Іюля 1895 г.

# ალადინის ამბავი

ანუ

**სასწაულთ-მომქმედი ლამპარი *).**

ჩინეთის სახელმწიფოს სატახტო ქალაქში, რომელიც ფრიად მდიდარი და ვრცელი იყო, სცხოვრობდა მკერვალი მუსტაფა. ეს მკერვალი ძალიან ღარიბი კაცი იყო და თავის შრომით ძლივს არჩენდა თავის თავსა, ცოლსა და ერთად ერთს შვილს, რომელიც ღმერთმა მიანიჭა მას.

შვილს ალადინი ერქვა. იგი დაუდევნელად აღზრდილი იყო და ამიტომ ბევრი ცუდი ზნე სჭირდა. ალადინი იყო კერპი და გაუგონარი. ცოტა რომ წამოჩიტდა და წამოიზარდა,

---

*) „ალადინის ამბავი ანუ სასწაულთ-მომქმედი ლამპარი, ნაწილია არაბთა ზღაპრის „ათას ერთის ღამისა“. ეს ზღაპარი თარგმნილია, თითქმის, ყველა განათლებულ ერთა ენაზე. ზოგიერთს ქვეყნებში, მაგ. ინგლისსა, გერმანიასა და სხ., ეს ზღაპარი ოც-ორმოჯერ დაბეჭდილა და ათი-ათასობით გავრცელებულა. ცხადია, მაშასადამე, ათას ერთ ღამეს ჰქონია ისეთი ღირსება, რომლის მეოხებით იგი შექმნილა ხელის-ხელ საგოგმანებელ საგნად დიდად განათლებულ ქვეყნებში ცა და პატარა ერთა შორისაც. ინგლისის გამოჩენილს მეცნიერს ჯონ-სტუარტ მილს, თურმე,



დედ-მამას აღარ ემორჩილებოდა და შინ აღარ დგებოდა. დილიდგანვე სახლით გავიდოდა და მთელს დღეებს შუკებსა და სალაყბო ადგილებში, თავისივე მსგავს ყმაწვილებთან, ატარებდა.

როცა ალადინი იმ ხნისა გახდა, რომ უკვე შეეძლო რამე ხელობის შესწავლა, მამას სამკერვალოში დაჰყავდა და ნემსის ხმარებას ასწავლიდა. მაგრამ ვერც დაყვავებით და ვერც დამუქრებით მამამ ვერ შესძლო თვისი შვილი დაეყოლიებინა და საქმე ეკეთებინა. ალადინი მიჩენილ სამუშაოს გვერდზე გადასდებდა ხოლმე, გარბოდა შუკაში და საღამომდის შინ აღარ ბრუნდებოდა. თუმცა მამა სჯიდა, მაგრამ იგი მაინც თავისას არ იშლიდა. ვერავითარ ღონისძიებით მუსტაფამ ვერ მოხეშა ალადინი და ბოლოს, თუმცა დიდად სავალალო იყო, მაგრამ მაინც, ნება-უნებლიედ, იძულებულ იქმნა შესჩვეოდა ამ ყოფას და შვილისათვის ნება მიეცა ისრე ეცხოვრა, როგორც მას

სამის წლისას ჰქონდა წაკითხული ეს ზღაპარი და ბოლოს დიდის ქებით იხსენიებდა მას.

რომ ამ ზღაპრის შინაარსი გავრცელებული ყოფილა საქართველოშიაც, ეს მტკიცდება მით, რომ ათას ერთ ღამის ზოგიერთი ადგილები და შთენილა ჩვენი ხალხის ზეპირსიტყვაობაშიაც, მაგ კაკ-ელისენს, კახეთს და სს. ფრიად საგულისხმოა, რომ ათას ერთ ღამეში ვპოვებთ მოთხრობას შესახებ „საზარელის როკა ფრინვლისა, რომელიც ბუდობს კაკკასიონის უმაღლესს მწკერკალზედ“ და მოსამსახურეებად ჰყავს გრძნეულნი. (ჩვენებურ როკასი და როკაპის განმარტება ის. წიგნში „მოსე ხონელი და მისი ამირანდარეჯანიანი“).

თარგმანში ვიხმარეთ ზოგიერთი ძველი სიტყვები, რომელთა ახსნა ჩართულია წიგნის ბოლოში.

მ, ჯ-ლი.

1880 წ. 1 იანვარს.

სწადდა. შვილის არა საკადრისმა ქცევამ საშინლად დაანაღვლიანა მუსტაფა, და ამ ნაღველმა, რაოდენიმე თვის განმავლობაში, მთლათ მოიდნო საწყალი მკერვალი. მუსტაფა აღესრულა. ალადინმა მწარედ დაიტირა მამა. ხოლო მისდა სამწუხაროდ, ეს უბედურება საკმაო არ იყო, რომ ალადინს დაევიწყა თვისი წინანდელი ცუდი ყოფაქცევა. დედა მისი დარწმუნდა, რომ ალადინს მკერვლობის თავი არა ჰქონდა. ამიტომ სამკერვლო აალაგა, გაყიდა იარაღი და დაიწყო ბამბეულის რთვა. თავის ხელსაქმით ეს კეთილი დედაკაცი არჩენდა თავის თავსაცა და თავის შვილსაც.

ალადინს ეხლა უფრო მეტი თავისუფლება მიეცა, უფრო გაზარმაცდა და მოუხშირა სიარული თავის ტოლ გარყვნილ ბიჭ-ბუჭებთან. იგი უკვე თხუთმეტი წლისა იყო და იმას კი არ ნაღვლობდა, თუ რა კაცი უნდა გამოსულიყო მისგან მომავალში.

ერთხელ, როცა ალადინი, ჩვეულებრივ, თავისივე მსგავს ბავშვებთან ერთად, საერო ბაღში, თამაშობდა, გამოიარა ვიღაც უცხოელ კაცმა. ეს კაცი იყო აფრიკიდგან ახლად მოსული თვალთმაქცი. იგი გაფაციცებით ზვერავდა აქაურობას. ყმაწვილებს რომ მიუახლოვდა, უცებ მიირბინა ალადინთან, მის წინ გაჩერდა და, თითქოს ნაცნობიაო, ისე დაუწყო ათვალიერ- ჩათვალიერება. მერე უცებ მოეხვია მას, მიიხუტა გულზე და რაოდენიმეჯერ გადაჰკოცნა თვალცრემლიანმა.

„ახლა-კი, ეჭვი აღარა მაქვს, – ეუბნებოდა აფრიკელი თვალთმაქცი ალადინს, – რომ შენ ჩემი ძმისწული ხარ. ერთი შემომხედე, შვილო ჩემო, მე ხომ შენი ბიძა ვარ. საწყალი მუსტაფა, მამა შენი, ჩემი კეთილი ძმა იყო. აგერ რამდენი წელიწადია ვმოგზაურობ და ახლა, როდესაც აქამდე მოვაწიე და იმედიც მქონდა, რომ ჩემს ძმას მუსტაფას ვნახავდი, ვიტყობ იმის გარდაცვალების ამბავს. განა მართალია?“

– დიახ, – მიუგო ალადინმა, რომელსაც მამის გახსენება



ზე თვალთაგან ცრემლი წასქდა. ალადინი, მართალია, ძალიან

მონავარი ყმაწვილი იყო, მაგრამ ამასთანავე კეთილი გული ჰქონდა.

ცუდი ქცევისა და დედ-მამის ურჩობისაგაო ალადინს თავს დაატყდა დიდი უბედურობა, რომელსაც მალე თქვენც დაინახავთ.

ეს თვალთმაქცი ატყუებდა ალადინს და განგებ ეუბნებოდა შენი ბიძა ვარო. ნამვდილად კი ამ დროს თვალთმაქცს ჰსურდა მოენახა იმისთანა ყმაწვილი, რომლის დაღუპვა და კვალწმინდათ გაქრობა შესძლებოდა, და ისიც

აფრიკელი თვალთმაქცი.

პასუხუგებლად. ალადინის ყოფაქცევა, ზნე-ჩვეულება, მისი მიმართულება და გულუბრყვილო ქცევა საკმაო იყო, რომ



თვალთმაქცს, თვისის სურვილის აღსასრულებლად, ხელი მო ეჭიდა ამ ბიჭისათვის. თვისის მიზნის მისაღწევად თვალთმაქცმა მიჰმართა გაიძვერაობას და ალადინისაგან შეიტყო, თუ სად სცხოვრობდა მისი დედა, მერე ქისიდგან ამოიღო ერთი მუჭა

ფული, მიაწოდა ალადინს და თანაც უთხრა: „წადი ახლა, შვილო ჩემო, დედა შენთან, თავი დაუკარ ჩემ მაგიერ და მოახსენე, რომ ხვალ მოვალ თქვენსას და ერთად ვივახშმებთ-თქო“.

მეორე დღეს, მართლაც, აფრიკელი თვალთმაქცი ეწვია ალადინის დედას. მის წინაშე ბევრი იტირა თავის ძმის მუსტაფას გარდაცვალებისაგამო და ეს გულუბრიყვილო დედაკაციც, წინათვე შეკრებილი ცნობების შემწეობით, მალე მოატყუა და ბოლოს ჰკითხა, რა ხელობას ადგა ალადინიო. პასუხი უკვე ცხადი იყო მისთვის. ალადინის დედამ უამბო თვალთმაქცს, რომ ჩემს შვილს არაფრის ხალისი არა აქვსო და არცარა რაისამე გაკეთება ჰსურსო. თვალთმაქცმა მოახსენა, ალადინისათვის ძვირფას ფარჩეულის საქულბაქეს გავხსნიო, რომ იგი მოგების გზას დაადგეს და პატიოსნურ შრომით იცხოვროსო. ალადინი სიხარულით მიეგება ტყუილა ბიძის დაპირებას და დიდი მადლობა გადუხადა მას. ალადინის უბადრუკ დედას ისე გაუხარდა, რომ ცრემლი ვეღარ შეიკავა და ტირილი მორთო. ასე დაბოლოვდა ეს შეხვედრა. ორივე მხარე – მუსტაფას ოჯახიცა და თვალთმაქციც – ნასიამოვნები დარჩნენ.

მეორე დღეს, პირობისამებრ, აფრიკელ თვალთმაქცმა ისევ ინახულა მუსტაფას ქვრივი, ხოლო დაბრუნებისას ალადინი თან გაიყოლია დ მიიყვანა მდიდარ სოვდაგართან, რომელიც შეკერილი ტანთსაცმელებით ვაჭრობდა. თავით ფეხამდის მშვენიერად შეამოსვინა ალადინი და მერე დედასვე მიუყვანა. ძალიან ვწუხვარო, სახლში შესვლისავე უმალ მოახსენა ქვრივს თვალთ მაქცმა, რომ ხვალ ალადინს ვერ შევუსრულებ პირობას. ხვალინდელი დღე პარასკევია, საქულბაქეები დაკეტილი იქნება-



და, მაშასადამე, არც ქულბაქის დაქირავება შეიძლება. ამიტომ ეს საქმე უნდა გადავდოთ შაბათამდე. ხოლო ხვალ მე ისევ მოვალ და ალადინს წავიყვან სასეირნოთ იმისთანა ბაღებში, საცა სეირნობს ხოლმე უკეთესი საზოგადოება. ალადინი ჩემ მოსვლამდის მოემზადოს“. მეორე დღეს ალადინი დილა ადრიან ადგა და თავდარიგს შეუდგა, რომ ბიძის მოსვლამდის მომზადებულიყო. მალე მოემზადა კიდეც და მოუთმენლად მოელოდა ბიძის მობრძანებას. ალადინმა გააღო ჭიშკარი, გამოვიდა ქუჩაში და იქვე კარებთან ჩამოჯდა იმ იმედით, რომ შორიდგან დავინახავ აქეთ მომავლ ბიძასო.

გამოჩნდა თუ არა თვალთმაქცი, ალადინმა დედას შეატყობინა და მერე ჭიშკარი გაიხურა და ბიძასთან მიირბინა.

აფრიკელ თვალთმაქცმა ჩვეულებრივ მიუალერსა ალადინს და შემდეგ უთხრა: „წავიდეთ, ჩემო საყვარელო ალადინ, დღეს მე გიჩვენებ საოცარ რამეებს“. გავლეს ქალაქის კარები, რომლის გარეთ, გზის აქეთ-იქით ნაპირას, იყო მშვენიერი სასახლეები, შემკული მშვენიერისავე ბაღებით. ამ ბაღებში შესვლა არ იყო აღკრძალული. ერთი ბაღიდგან მეორეში გადადიოდ-

ნენ და ასე ნელ-ნელა შორდებოდნენ ქალაქს. ბოლოს ალა-
დინმა დაღალულობა იგრძნო. „ძიავ, ჰკადრა თვალთმაქცს,
სადამდის უნდა ვიაროთ?“

მოთმინება იქონიე, ძმისწულო, – მიუგო ტყუილა ბი-
ძამ – მე კიდევ უნდა გიჩვენო ერთი ბაღიც, რომელიც ყველა
ამ ჩვენ-მიერ ნახულ ბაღებს სჯობია. ის ბაღი აქედგან შორს
აღარ არის, ორიოდე ნაბიჯის სიშორეზეა“. ალადინმა აღარა უთხ-
რა-რა და გაჰყვა. თვალთმაქცი სცდილობდა შორეული გზა თა-
ვის ტკბილი ლაპარაკით შეემოკლებინა. ბოლოს იგინი შევიდნენ
ერთს ვიწრო ხეობაში. აფრიკელ თვალთმაქცის სურვილიც ის
იყო, რომ სწორედ აქ, ამ ხეობაში, მიეყვანა ყმაწვილი აღ-
სასრულებლად იმ მოსაზრებისა, რისთვისაც იგი აფრიკის მხრი-
დამ ჩინეთში მოსულიყო.

– 9 –

„ამას იქით აღარ წავალთ, ჩემო საყვარელო ძმისწულო, –
უთხრა ალადინს თვალთმაქცმა. აქ მე შენ გიჩვენებ უცხოსა და
კაცისაგან უცნობ რამეებს. ხოლო მანამდე შეაგროვე ხმელი
წკნელები, რაოდენსაც კი იპოვნი.

ჯადოქრობა.

ამ ადგილას იმდენი წკნელი ეყარა, რომ თვალმაქცის

ბრძანება იმწამსვე შესრულებულ იქნა. თვალთმაქცმა კვარს ცე-
ცხლი მოუკიდა და ხმელ წკნელებს შეუკეთა. მერე აღგზნებულ
ცეცხლში ჩააგდო. რაღაც სურნელოვანი, წინათვე შემზადებუ-
ლი, საკმეველი. უცბად ავარდა შავი ბოლი. თვალთმაქცი რა
ღაც გაუგებარ ჯადოქრობას ბუტბუტებდა და სვეტივით



მაღლა ამართულ ბოლს თავს ახრევინებდა ხან აქეთ, ხან იქით.
ამასობაში დედამიწა მსუბუქად შეიძრა, მერე თვალთმაქ-
(ცისა და ალადინის ცხვირ წინ პირი ჰქმნა და გამოჩნდა ოთხ-
კუთხი ქვა-სარქველი. ეს სარქველი ნახევარი ალაბის სისქისა
იყო და ზედა პირზედ, შუაგულს, ჰქონდა ამოსაწევი ბრინჯაოს
ყულფი. ნახე, უთხრა თვალთმაქცმა ალადინს, რა ვქენი მე
ჩემის საკმეველითა და სიტყვებით! იცოდე ახლა, რომ ამ ქვის
ქვეშ, რომელსაც შენ ჰხედავ, ჰმარხია განძი. იგი შენი ხვედ-
რია და შემდეგში ისე გაგამდიდრებს, რომ უდიდესი ხელმ-
წიფეც ვერ შეგედრება თავის ქონებით. ხოლო საჭირო კია,
რომ ეს სარქველი შენვე აჰხადო. ხელი მოსჭიდე სარქველის
ყულფს, შენი მამისა და პაპის სახელები ახსენე და ამოსწი.
ამისთვის დიდი შრომა არ დაგჭირდება “ .

ალადინი ისე მოიქცა, როგორც დაარიგა თვალთმაქცმა
და, მართლაც, ადვილად ასწია სარქველი და განზე გადასდო.

მოჰხადეს-რა სარქველი, მათ თვალს წარმოუდგა მღვიმის
ყელი, ნახევარ ალაბის სიღრმისა, მცირე კარებიანი და საფე-
ხურებ დატანებული ძირს ჩასასვლელად. „შვილო ჩემო, მოჰყ-
ვა თვალთმაქცი, ყურადღებით მოისმინე ყოველივე, რასაც კი
ეხლავ გიამბობ. ჩადი ამ მღვიმეში. როცა კიბის უკანასკნელ
საფეხურამდე მიაწევ, დაინახავ ღია კარს, მას გაივლი და მი-
ხვალ ფრიად ვრცელ ადგილას, რომელიც თაღებ გადავლებუ-
ლია და სამ დიდრონ ოთახებად დაყოფილი. ყოველს ოთახში,
მარჯვნივა და მარცხნივ, ნახავ ოთხ-ოთხ ლარნაკს, გობის ტო-
ლებს, ლარნაკები ოქრო-ვერცხლით სავსეა, მაგრამ გაფრთ-
ხილდი და მათ არ მიეკარო. ვიდრე შეხვიდოდე პირველს
ოთახში, ტანისამოსი შემოიკალთავე და ტანზე მაგრა მოიხვიე.
რაწამს ამ ოთახში შეხვალ, დაუხანებლივ გადი მეორეში, იქი-
დგან მესამეში. უმეტესი სიფრთხილე გმართებს, რომ არამცა
და არამც კედლებთან არ მიხვიდე და ტანისამოსი არ მიაკა-
რო. თუ კედლებს შეეხე, იმავ წამს მოკვდები. ამიტომაც გი-
ბრძანე ტანისამოსი შემოიკალთავე დ ტანზე შემოიხვიეო. მესამე



ოთახის ბოლოს არის კარი; ამ კარებს გაივლი და ბაღში შე-
ხვალ. ბაღში ჩარიგებულია მშვენიერი ხეები, რომელთა ტოტები
ნაყოფის სიმძიმისაგამო დაბლა დახრილან. ბაღის ბილიკს და-
ადექ და სულ პირდაპირ იარე. ბილიკი მიგიყვანს ორმოც-
და ათ საფეხურიან კიბემდის, რომლის თავს მოედანია. იქ რომ
ახვალ, წინ დაგხვდება ღრანტე და იმ ღრანტეში დაინახავ ან-

თებულ ლამპარს. იგი ჩააქრე, პატრუქი გამოაძრე და გადააგ-
დე, შიგ მყოფი სითხე გადაღვარე და მერე ლამპარი აიღე,
უბეში დამალე და მე მომიტანე. ტანისამოსის გასვრისა ნუ შე-
გეშინდება, რადგან ლამპარში მყოფი სითხე ზეთი არ არის
და, რაწამს დასცლი, მაშინათვე შეშრება. თუ ბაღში ხილით
პირის გატკბანურება მოგინდა, მოკრიფე რამდენიც გნე-
ბავს. ხილის მოკრეფა შენთვის დაშლილი არ არის“.

აფრიკელ თვალთმაქცმა თავის თითიდგან გამოიძრო ბე-
ჭედი, ალადინს თითზე გაუყარა და უთხრა: „ეს ბეჭედი და-
გიფარავს ყოვლის ფათერაკისაგან, თუ ყველაფერს ისრე აღა-
სრულებ, როგორც დაგარიგე. წადი, შვილო, გულადად ჩაირ-
ბინე, სამარადისოდ გამდიდრებული ვიქნებით ორნივე“.

ალადინი მარდად ჩახტა მღვიმეში და ჩაიარა კიბის ქვედა
საფეხურამდის. იქ ნახა სამი ოთახი, რომელიც წინათვე აუწე-
რა თვალთმაქცმა. ოთახები, როგორც ნაბრძანები ჰქონდა,
დიდის სიფრთხილით გავლო, გაიარა ბაღზედაც, აიღო ღრან-
ტეში მდებარე ანთებული ლამპარი, გადააგდო მისი პატრუქი,
გადაანქრია სითხეც, ხოლო ლამპარი კი უბეში დამალა და გა-
მობრუნდა. გამოვლისას ბაღში გაჩერდა, რომ დაეთვალიერე-
ბინა ხეხილი. ხეები დატვირთული იყო უცხოფერ ხილით.
ყოველ ხეს ება სხვა და სხვა ნაირი ნაყოფი: თეთრი, ბრწყინ-
ვალე, ბროლისავით მჭვირვალე, წითელი, მწვანე, ლურჯი,
იისფერი, ყვითელი და სხ. თეთრი ხილი იყო მარგალიტი,
ბრწყინვალე და მჭვირვალე – ბრილიანტი წითელი – ლა-
ლი, მწვანე. ზურმუხტი, მოწითალო – იაგუნდი, იისფერი ამეთვის-



ტონი, მოყვითალო ფერისა – საფირონი, და ასრევე სხვა ფერე-
ბისა. ეს ხილები ისეთის სიდიდისა და მშვენიერებისა იყო,
რომ მათებრი ჯერ არ ნახულიყო მთელს დედამიწაზე. ალადი-
ნი, რომელმაც ამ ხილებისა არც ფასი იცოდა და არც მათი
ღირსება, ბაღის ხეხილების ნახვამ ვერ გაიტაცა. აქაური ხილი
მისი გემოსი არ იყო, როგორც მაგალითებრ ლეღვი, ყურძე-
ნი და მრავალი ამგვარი ნაყოფი, რომლითაც განთქმულია ჩი-
ნეთი. ბაღის უუძვირფასესი ხილები ალადინს დაფერილ ჭი-
ქად მიაჩნდა. თუმცა ასე ეგონა, მაგრამ მაინც მათმა მრავალ
ნაირა და ბრწყინვალე ფერადობამ, სილამაზემა და სიდიდემ გა-
ნუცხოველეს სურვილი მოეკრიფა თითო-ოროლა ნაყოფი
ალადინმა მოკრიფა ფერად ფერადი ხილები, გაივსო. ორივე ჯი-
ბე და აბგა, რომელიც მისთვის ეყიდა თვალთმაქცს. ხილი ჩა-
იწყო უბეშიაც, ლამპრის აქეთ-იქით.

ალადინმა, როგორც ვსთქვით, არ იცოდა ფასი იმ აუარე-
ბელ სიმდიდრისა, რომელიც თან მოჰქონდა. იგი სიჩქარით
გამობრუნდა. სამი ოთახი, როგორც წინათ, ისე ეხლა, სი-
ფრთხილით გავლო. ავიდა მაღლა იმავე კიბით, რომლითაც
ჩამოსულიყო და მიადგა მღვიმის ყელის თავს, საცა მოუთმე-
ნელად ელოდა აფრიკელი თვალთმაქცი,

– ძიავ, – შესძახა თვალთმაქცს ალადინმა, მომაქვს მეტად მძიმე ტვირთი, გთხოვ, ხელი მომჭიდო და მიშველო, რომ მაღლა ამოვიდე.

– შვილო ჩემო, – მიუგო თვალთმაქცმა, ჯერ პირველად ლამპარი მომაწოდე, ეგ გიშლის შენ.

– მომიტევე, ძიავ, ლამპარი სრულიადაც არ მიშლის, როდესაც მაღლა ამოვალ, ლამპარსაც მაშინ გიბოძებ.

აფრიკელი თვალთმაქცი დაჟინებით სთხოვდა, ვიდრე ამოხვიდოდე, ლამპარი მე გადმომეციო. ხოლო ალადინი კი, რომელსაც ლამპარი, ხილების უკან, უბეში ედო, სრულს უვარზე იდგა და ეუბნებოდა, ვიდრე მღვიმედგან არ ამოვალ, ვერ მოგცემო. ამისგამო აფრიკელი თვალთმაქცი საზარლად გარი-



სხდა ცეცხლში ჩააგდო მცირე ნაწილაკი თვისის საკმეველისა და ორი ჯადოქრული სიტყვა წარმოსთქვა თუ არა, სარქველი თავისთავად დაესარქლა მღვიმის ღია ყელს და მერე მიწითაც ამოივსო სწორედ ისრე, როგორათაც ამოვსებული იყო აფრიკელ თვალთმაქცისა და ალადინის აქ მოსვლამდის.

ახლა საჭიროა შეიტყოთ ისიც, თუ რა ედო გულში აფრიკელ თვალთმაქცს, როდესაც ესრეთი შორეული მოგზაურობა თავსიდვა და ან რა მიზანი ჰქონდა მას.

სამისნო ხელოვნობის დაკვირვებით მან შეიტყო, რომ ქვეყანაზე მოიპოვება სასწაულთ-მომქმედი ლამპარი, ხოლო ვინც მას შეიძენს, დიდებულ ხელმწიფეზედაც უძლიერესი გახდებაო; შეიტყო ისიც, რომ ეს ლამპარი ჰმარხია მიწაში, ჩინეთის სახელმწიფოს შუა ადგილას, და მის ამოსაღებად უსათუოდ სხვა ვინმე უნდა ჩავიდეს მღვიმეშიო და სხვის ხელით უნდა თვითონ მიიღოს ლამპარიო. ეს იყო მიზეზი, რომ იგი მოვიდა ჩინეთის დედა ქალაქში და ალადინს სთხოვა ეს საქმე შეესრულებინა. თვალმაქცი, წინათვე შეკრებილ ცნობების მიხედვით, დარწმუნდა, რომ ალადინს ადვილად დაიყოლიებდა თვისის განზრახვის შესასრულებლად და ამასთანავე, რადგან ალადინი ქვრივ-ოხერა დედაკაცის შვილი იყო, გაუჭირვებლად დაღუპავდა მას. თვალმაქცს განეზრახა, ალადინი ლამპარს რომ მომაწვდისო, მერე მღვიმის კარს ჩავუკეტავო და კვალ-წმინდად დაღუპული იქნებაო. მაგრამ ესრეთი დაწყობილება თვალთმაქცისა ალადინის ჯიუტობამ ჩაშალა.

პირველის ცდის შემდეგ თვალთმაქცს თილისმის გაკეთება აღარ შეეძლო, რადგან საამისო ცოდნა აღარ ჰქონდა.

უდიდებულესი და უმშვენიერესი დაწყობილობა რომ გაუქარწყლდა თვალთმაქცს, იმის მეტი აღარა დარჩენოდა-რა, რომ აფრიკაშივე დაბრუნებულიყო. თვალთმაქცი იმავე დღეს გაემგზავრა იმით მაინც ნასიამოვნები, რომ ალადინის ჯავრის ამოყრა შესძლო.

ამნაირად ისევ ცოცხალი ალადინი დედამიწის ქვეშ დარჩა. ამ საშინელ ფათერაკით, რომელიც ალადინს შეემთხვა თავისივე ცუდის ყოფაქცევისაგამო, უნდა დასრულებულიყო მისი ამბავი. მაგრამ ეს ასრე არ მოჰხდა, რადგან ალადინს თითზე შერჩა თვალთმაქცის ბეჭედი, რომელსაც შეეძლო მისი ხსნა.

გაოცებულ-გაშტერებული ალადინი, გონს რომ მოვიდა, ათასჯერ გამოეხმაურა თავის ბიძას, უყვიროდა, მზათა ვარ მოგაწოდო ლამპარიო. მაგრამ დაინახა-რა, რომ ყვირილადამ არა გამოდიოდა-რა, ჩამოჯდა კიბის საფეხურზე იმედ გადაწყვეტილი, რომ კიდევ ოდესმე ნახავდა დღის სინათლეს. დანაღვლიანებული ალადინი დარწმუნდა, რომ მღვიმის კუკუმათი მას მალე შეეცვლება საუკუნო წყვდიადად. იგი ჰფიქრობდა მატყუარას სამასხარო გავხდიო. ამასობაში ფიქრმა გაიტაცა იგი, და მოაგონდა თავისი უწინდელი ცხოვრება, თავისი მამა, რომელიც მისმა ჯავრმა თან გადიტანა, თავისი დედა, რომლის დარიგებას არ ისმენდა და გზადაბნეულადა და უგუნურად იქცეოდა. ახლა კი დარწმუნდა, რომ ისჯებოდა თავისის ცუდის ქცევისაგამო.

გამწარებულად ტიროდა საცოდავი და ჰკრულავდა თამაშობას, რომელმაც ისე გაიტაცა, რომ მთელ დღეებს ბიჭ-ბუჭობაში ატარებდა და ბოლოს პირველის შეხვედრილის მატყუარას მსხვერპლად შეიქმნა.

ამ ყოფაში ალადინმა ორი დღე-ღამე გაატარა, უჭმელ-უსმელმა მესამე დღეს იგრძნო, რომ სიკვდილი არ ასცდებოდა. აღიპყრო მაღლა თვისი ხელები, მიატკიცა იგინი ერთმანეთს და დიდის სასოებითა და კრძალულებით წარმოსთქვა:

– უფალო, ჩემი სასოება და იმედი მხოლოდ შენა ხარ. მომიტევე კუდი ქცევისათვის. კურთხეულ იყავნ სახელი შენი!

ხელების ერთმანეთზე მიტკიცებისაგამო, ალადინის უნე-



ბურად, გაიხეხა ბეჭედი, რომელიც თითზე ჰქონდა და რომლის საიდუმლო ძალა ალადინისათვის დაფარული იყო. ბეჭდის გახეხისავე უმალ მიწიდგან იწყო ამოძრომა ვეება ტანისა და საზრელ შეხედულობის გრძნეულმა. იგი ალადინის წინ დაეყუდა, თავი მიაყრდნო მღვიმის კამარას და დაეკითხა ყმაწვილს:

– რა გნებავს? მზათა ვარ გემსახურო, ვითარცა შენი ტყვე და ტუკე მისი, რომელსაც თითზე აქვს ეგ ბეჭედი; მზათა ვართ გემსასუროთ მეცა და სხვა ტუტეებიც მაგ ბეჭდისა.

სავალალო ყოფამ ალადინს დაავიწყა შიში; სხვა დროს ამისთანა საშინელი სანახაობა თავზარს დასცემდა საწყალს.

– ვინც უნდა იყო, — მიუგო ალადინმა გრძნეულს, თუ შეგიძლიან, აქედგან გამიყვანე.

დაასრულა-რა ეს სიტყვები, მიწა გაიპო და ალადინმა თავისი თავი დედამიწის პირზე, მღვიმის ყელის ზედა ნაპირას,

იხილა. მიიხედ-მოიხედა და ბაღებით გარშემორტყმული ქალაქი
დაინახა და იპოვა ის გზაც, რომელზედაც აფრიკელ თვალთ-
მაქცმა გამოატარა. გაჰყვა ამ გზას და თანაც ჰმადლობდა
უფალსა, რომელმაც მას კვლავ დაანახვა მზის სინათლე. მია-
წია ქალაქამდე და ძლივს მიაგნო თავის სახლს. დედამ რომ და-
ინახა თავისი შვილი, სიხარულისაგან კინაღამ არ შეიშალა.
საწყალ დედაკაცს იმედი არა ჰქონდა, რომ კიდევ ნახავდა
შვილს, რადგან იმ დღიდგან მოკიდებული, რა დღესაც
ალადინი  სახლიდამ გავიდა, იგი დაეძებდა მას. დაინა-
ხა-რა შვილი, წამოიძახა: „ოჰ, კიდევ გნახე, ჩემო საყვარე-
ლო შვილო!“ – და მდუღარე ცრემლი გადმოაფრქვია.

ალადინი სამი დღის უჭმელი იყო და დიდს სისუსტეს
გრძნობდა ამიტომ, სახლში რომ შევიდა, წამოიკნავლა:
„დედილო, გთხოვ, მაჭამო რამე. სამი დღეა ჩემს პი-
რში ლუკმა არ ჩასულა“. საწყალმა დედამ ფიცხლავ
მოართვა რაც კი რამ სახლში ებადა და თანაც უთხრა:
შვილო, ნუ აუჩქარდები, მშიერი კაცი შიმშილს უნდა იკლავ-



დეს ნელ ნელა, სვენებით. ამისთანა შიმშილს რომ იგრძნობ,
უნდა იქონიო ზომიერება და შენს თავს გაუფრთხილდე“.

ალადინი ისე მოიქცა, როგორც დაარიგა მშობელმა, ხოლო
დანაყრების შემდეგ დედას უამბო თავისი თავგარდასავალი. მი-
სი ამბავის მსმენელი დედა ათასნაირ . შეჩვენებას უთვლიდა
აფრიკელ თვალთმაქცს. საწყალი დედაკაცი უზომოდ გახარე-
ბული იყო, რომ მისი შვილი გადურჩა ამ საშინელ განსაც-
დელს. ახლა პირველი მისი საზრუნველი ის იყო, რომ ამდე-
ნი ტანჯვა-წვალებისაგან დაღალულ-დაქანცული შვილი მოე-
სვენებინა და მოესულიერებინა.

ალადინს მთელი ღამე ტკბილად ეძინა. მეორე დღეს გვი-
ან გამოეღვიძა. ლოგინიდგან რომ ადგა, დედას უთხრა,
სიკეთე მიყავი და დამანაყრეო. ხოლო ალადინს, რაც კი რამ
სანოვაგე ჰქონდა მის დედას, ყოველივე წინა დღეს შეეჭამა
და სახლში აღარაფერი გააჩნდათ. დედამ უთხრა შვილს: „რაო-
დენიმე ნართი მაქვს. იგი გაყიდე და შენთვის ხორა-
 გეული იყიდეო“. „დედილო, მიუგო ალადინმა, შენი ნართი
შეინახე სხვა დროსთვის, ახლა კი მომაწოდე ლამპარი, რომე-
ლიც გუშინ მოვიტანე. მაგას გავიტან ბაზარში და გავყიდი,
მის ფასად ვიყიდი სანოვაგეს, რომელიც სასაუზმოდაც გვეყო-
ფა და, შეიძლება, გვეყოს სავახშმოდაც“. დედამ მოუტანა ლამა-
პარი და უთხრა: „აი შენი ლამპარი. იგი მეტად ჭუჭყიანია.
ცოტა რომ შევწმინდოთ უფრო პირიანად გაჰყიდი“.
ქვრივმა წყალში ქვიშა გათქვიფა, რომ გაეწმინდა ლამპარი.
მაგრამ რაწამს მისი ხელი შეეხო ლამპარს, მიწიდგან მათ წი-
ნაშე აღიმართა უზარმაზარი და საზარო შეხედულობის გრძნე-
ული, დააშტერდა დედაკაცს და მჭახე ხმით დაეკითხა:

– რა გნებავს? მზათა კარ გემსახურო, როგორც შენი ტყვე
და ტყვე ყველა მისი, რომელსაც ხელში ეჭირება ეგ ლამპარი, –

მზათა ვართ გემსახუროთ მეცა და ყველა სხვა ტუვეებიც მაგ ლამპ-
რისა.



ალადინის დედას შიშის ელდა ეცა და გონწასული ალა-
გზედ დავარდა.

ალადინს, რომელსაც ამგვარივე მოჩვენება უკვე ენახა-
მღვიმეში, არ შეეშინდა, დაუყოვნებლივ აიღო ლამპარი და
დედის მაგიერ გულადად უპასუხა გრძნეულს: „მშიერი ვარ.
მომიტანე რამე საჭმელი“. გრძნეული გაჰქრა და წამის განმა-
ვლობაში მოართვა ვერცხლის დიდი სინი, რომელზედაც ეწ-



გრძნეული სანოვაგეს მოართმევს.

ყო ვერცხლისავე თორმეტი ლანგარი. ეს ლანგრები დატკვე-
ფილი იყო მშვენიერის საჭმელებით და ამ საჭმელებზე იდო



ექვსი, თოვლივით თეთრი, პური. ამას გარდა გრძნეულს ხელში
ეჭირა აგრეთვე ორი, მშვენიერი ღვინით სავსე, ბოთლი და

ორი თასი ვერცხლისა. ყოველივე ეს სუფრაზე დაალაგა და თვითონ იმავ წამს გაშპა.

ყოველივე ეს ისე სწრაფად მოჰხდა, რომ ალადინის დედა ჯერ გონს არ მოსულიყო და გრძნეული კი მეორეთაც უხილავი შეიქმნა. დიდად გაიკვირა ალადინის დედამ, როცა დაინახა დიდი სინი, თორმეტი ლანგარი, ექვსი პური, ორი ბოთლი ღვინო, ორი თასი, და როცა იგრძნო საჭმელების მშვენიერი სურნელოვანება.

დედა და შვილი დაუყოვნებლივ მოუსხდნენ სუფრას. იგინი მხოლოდ დასაუზმებას აპირებდნენ, ის კი არა, სამხარს სადილიც ზედ მიაყოლეს. საჭმელები მეტის მეტად გემრიელი გამოდგა.

ამ საამური საჭმელებისა მეორე დღის ვახშმობის შემდეგ აღარაფერი დარჩა. დილა რომ გაუთენდათ, ალადინმა კალთის ქვეშ მიმალა ერთი ლანგარი და წავიდა ქალაქში მის გასაყიდათ. გზაზედ ურია შეხვდა. განზე გაიხმო იგი, ლანგარი აჩვენა და უთხრა: „ამ ნივთის ყიდვას ხომ არ ინებებო“.

ცბიერმა და გამოცდილმა ურიამ ლანგარი გამოართო, გაშინჯა და სცნო-რა, რომ წმინდა ვერცხლისა იყო, ჰკითხა ალადინს: „რამდენათ აფასებო“. ალადინმა არ იცოდა ლანგრის ფასი და მიუგო: „შენ თვითონ კარგად მოგეხსენება ამის ფასიო და ამ შემთხვევაში შენს სინიდისს ვენდობიო“. ბავშვის გულუბრყვილო პასუხმა მთლად გადარია ხარბი ურია თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ალადინმა არ იცოდა ამ ლანგრის ღირსება, მაგრამ მაინც ქისიდგან ამოიღო ერთი ოქრო, რომელიც მხოლოდ ლანგრის ღირებული ფასის მესამოცე ნაწილს შეადგენდა, და მისთავაზა გამყიდველს. ალადინმა გაფაციცებით გამოართო ფული და დიდის სიჩქარით გაშორდა ურიას. მისი მცქერელი ხარბი ურია, თუმცა დიდის მოგებით ევაჭრა, მაინც მზათ იყო გამოჰკიდებოდა ალადინს, რომ მი-



ცემულ ოქროდამ ცოტაოდენი კიდევ დაეცინცლა. მისდა საუბედუროდ ალადინი უკვე შორს იყო და ამან დააშლევინა განზრახვის შესრულება. დაბრუნებისას ალადინმა მეპურესაგან იყიდა თეთრი პური და მეპურეს გადასცა ოქრო და ნაშალი სთხოვა. მეპურემ თვისი ხვედრი აიღო და დანარჩენი მასვე დაუბრუნა. შინ რომ მივიდა, დედას გადასცა ნაშალი. ახლა დედა მისი წავიდა ბაზარში და მოიტანა რაოდენიმე დღის სანოვაგე.

ასრე სცხოვრობდნენ იგინი. ალადინმა ზემორე ხსენებულ ურიას მიჰყიდა ყველა ლანგრები იმავე ფასად, რა ფასადაც დაუთმო პირველი ლანგარი როცა უკანასკნელი ლანგრის ფასი შემოელიათ, ახლა ალადინმა გაასაღა სინიც, რომელიც ათი იმოდენი წონისა იყო, რაოდენისაც თვითეული ლანგარი. ურიამ სინის ფასად მხოლოდ ათი ოქრო გაიმეტა. ალადინი ამითაც კმაყოფილი დარჩა.

ამ ათ ოქროსაც დღიური სახარჯოს მნიშვნელობა მიეცა.

ალადინი ახლა თავისუფლებით სტკბებოდა და კეთილად სცხოვრობდა. თავის ტოლ ბიჭ-ბუჭებთან თამაშობას თავი დაანება იმ დღიდგან, რა დღესაც აფრიკელ თვალთმაქცისაგან მიყენებულ ფათერაკს გადურჩა. ალადინი ახლა ხან წიგნს ჰკითხულობდა დ ხან კეთილ-შობილ კაცთა საზოგადოებაში ერთობოდა, საუბრობდა. აგრეთვე ხშირად გაჩერდებოდა ხოლმე მდიდარ ვაჭრების საქულბაქეების წინ და ისმენდა ლაპარაკს გამოჩენილი კაცებისას, რომელნიც ერთად თავს იყრიდნენ სამუსაიფოდ. ასე და ამგვარად ნელნელა გაიცნო საზოგადოება და ქვეყნიერება.

როცა ათი ოქროს ფული შემოეხარჯათ, ალადინმა ისევ თავის ლამპარს მიჰმართა. აიღო ლამპარი და მოუნახა ის ადგილი, რომელიც გაეხეხა მის დედას. თვითონაც დედასავით გახეხა. წამსვე მის წინ დაეყუდა ისევ ის გრძნეული, რომელიც უკვე მას სჩვენებოდა. ხოლო რადგან ალადინმა თავის დედა-



ზე უფრო მსუბუქად გახეხა ლამპარი, ამიტომ გძნეულმაც წყნარის ხმით იკითხა:

– რა გნებავს? მზათა ვარ გემსახურო, როგორც შენი ტყვე დატევე ყველა მათი, რომელთაც ხელში უპყრიათ ეგ ლამპარი, – მზათა ვარო გემსახუროთ მეცა და ყველა სხვა ტყვეებიც მაგ ლამპრისა.

– მშიერი ვარ, – მიუგო ალადინმა. მომიტანე რამე საჭმელი.

გძნეული გაჰქრა და წამსვე აქვე დაიბადა იმგვარივე სასადილო თავდარიგით, როგორიც მოართვა პირველად. ყოველივე სუფრაზე დაალაგა და თვითონ გაშპა.

ალადინი და დედა მისი სუფრას შემოუსხდნენ და ისადილეს. ნასადილევს იმდენი სარჩო დარჩათ, რომ ორ დღეს კიდევ ეყოფოდათ,

როცა გამოელიათ პური, სატანი და ფული, ალადინმა აიღო ვერცხლის ლანგარი და გაემგზავრა ნაცნობ ურიისაკენ გავლისას მას თვალი მოჰკრა ფრიად სინიდისიერ და პატივცემულ მოხუც ოქრომჭედელმა, რომელსაც წინათაც ბევრჯელ ენახა მის კარის წინ გავლილი ალადინი და ხელ ცარიელად დაბრუნებული ხსენებული ურიის სადგომიდგან. იგი მიხვდა, აქ რაღაცა ამბავიაო. ოქრომჭედელმა მიიხმო. ალადინი, შეიწვია თავის საქულბაქეში და ასრე გააფრთხილა: „ის ურია, რომელსაც შენ მიჰმართავ ხოლმე, დიდი მატყუარაა და ყველა ურიაზე უფრო გაქნილი. თუ გნებავს, შვილო ჩემო, – განაგრძო გულკეთილ ოქრომჭედელმა, – მიჩვენე, რაც მიგაქვს გასაყიდად და მისს ნამდვილ ფასს გეტყვი. ვიყიდი კიდეც, თუ გამომადგება. თუ არა და, გაგგზავნი სხვა ვაჭრებთან, რომელნიც არ მოგატყუებენ“.

ალადინს იმედი მიეცა, ლანგარში მეტ ფულს ავიღებო. და ამიტომაც უბეში მიმალული ლანგარი ამოიღო და ოქრომჭედელს გადასცა. მან მოიტანა სასწორი, ასწონა ლანგარი და მერე ალადინს აუხსნა ფასი და ღირსება ვერცხლისა და შენი

შნა, რომ შენი ლანგარი, მის წონის და გვარად, ღირს სა-
მოცდა-ორი ოქროვო. ეს ფული იმავ წამს ხელში ჩაუთვალა.
ალადინმა წმინდა გულით მადლობა მოახსენა ოქრომჭე-
დელს დარიგებისათვის. შემდეგში იგი სხვას არავის მი-
ჰმართავდა ხოლმე ამგვარ შემთხვევაში, თუ არა ისევ ამ ოქ-
რომჭედელს.

თუმცა ალადინსა და მის დედას, ლამპრის შემწეობით,
ჰქონდათ უშრეტელი წყარო სიმდიდრისა, მაგრამ იგინი მაინც
წინანდელები ხელმოჭერილად სცხოვრობდნენ. შემოსავ-
ლის. რავდენიმე ნაწილს ალადინი იზოგავდა, რომ შემდეგში
პატიოსნადა და უნაკლულოდ ეცხოვრათ, აგრეთვე მოეწყოთ
კარმიდამო. მისი დედა თავის საცმელზე მხოლოდ იმას ხარ-
ჯავდა, რასაც აიღებდა ხელსაქმით. ასე გაატარეს მათ რაოდე-
ნიმე წელიწადი, ყოვლის მხრით ღირსეულთ ამ უცაბედად კარზე
მომდგარ იღბლისა.

ამ დროს განმავლობაში ალადინი მუდამ დადიოდა გა-
მოჩენილ კაცების შესაკრებელ ადგილას, ესე იგი საქულბაქეებ-
ში იმ მდიდარ ვაჭრებისა, რომელნიც ჰყიდდნენ შალს, ოქ-
როს, ვერცხლს, აბრეშუმეულს, ძვირფას ქვებს და წმინდა ფა-
რჩეულს. მათს ლაპარაკში ხშირად ალადინიც ჩაერეოდა ხოლ-
მე. თანდათან ალადინი მთლად გამოიცვალა და შეუმჩნევე-
ლად შეითვისა მოწინავე საზოგადოების ქცევა და ზნე. ალა-
დინი დააკვირდა იმასაც, თუ როგორ ყიდულობდნენ და ჰყი-
სდნენ ძვირფას ქვებს და მალე შეიგნო და მიჰხვდა, რომ ის,
ვითომდა, ხილი, რომელიც მან მოჰკრიფა ბაღში სასწაულთ-
მომქმედ ლამპრის მოტანის დროს, მართლა ჩვეულებრივი ხი-
ლი კი არ იყო, არამედ ძვირფასი ქვები, პატიოსანი თვლები.
ხოლო მისებრი ქვები, როგორიც მას ჰქონდა, არ მოიპოებო-
და არც ერთის ოქრომჭედლის საქულბაქეში, და ამან უფრო
დაარწმუნა ალადინი, რომ იგი პატრონია აურებელი სიმდიდრი-
სა. მაგრამ ალადინი იმდენად გონიერი იყო, რომ ეს ამბავი
არავის არ გაუმჟღავნა, თავის დედასაც კი არა. ეჭვს გარეშეა, რომ



ალადინი მხოლოდ სიფრთხილითა და თავის გონიერებით შე-
იქმნა მფლობელი იმ სიმდიდრისა, რომელიც მან შეიძინა ბო-
ლო დროს.

ერთხელ ალადინი ქალაქის გარე-უბანში სეირნობდა.
ამ დროს უცებ მოესმა მაღალი ხმით ძახილი: „ისმინეთ ბრძა-
ნება ხელმწიფისა, დაკეტეთ საქულბაქეები და სახლების კარ-
ფანჯრები და ნურავინ გამოხვალთ შინიდგან, ვიდრე მისი დი-
დებულების ასული ბადრულბუდური არ მიბრძანდება. აბანოში
და იქიდგან სასახლეშივე არ დაბრუნდება“.

მთელი ერისადმი მიმართულ ძახილმა ალადინს აღუძრა
სურვილი თავის თვალით დაენახა სეფექალი ურიდეოთ,

რომლითაც ქალები, ჩვეულებრივ, თავ-პირს იბურავენ ხოლმე აღმოსავლეთში. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან ხერ-ხი იხმარა და კიდეც მისწვდა თავის წადილს. იგი მივიდა და დაიმალა იმ კარებს უკან, რომლითაც სეფექალი უნდა შებრ-ძანებულიყო. აბანოში. ეს კარები ისე იყო მოწყობილი, რომ ალადინი ცხადად დაინახავდა სეფექალის პირისახეს. მას დიდ-ხანს არ მოუნდა ლოდნა, მალე გამოჩნდა სეფექალი და მას-თან დიდი გუნდი ქალებისა. ალადინს კარების ჯუჯრუტანი-დამ კარგად შეეძლო აეთვალიერ-ჩაეთვალიერებინა ბადრულბუ-დური და თვითონ კი შეუმჩნეველად დარჩენილიყო. როცა კა-რებამდის სამი თუ ოთხი ნაბიჯი-ღა იყო დარჩენილი, სეფე-ქალმა რიდე აიხადა და მით ალადინს მისცა შეძლება გაეშინ-ჯა ხელმწიფის ქალიშვილი. ბადრულბუდურისებრი უმშვენიე-რესი შავგრემანი ქალი მთელს დედამიწის პირზე არ მოიპოე-ბოდა. მას ჰქონდა დიდრონი, ცოცხალი და ბრწყინავი თვა-ლები, წყნარი და მშვიდი გამომეტყველება, ცხვირი შესაფერი ზომისა, პირი პატარა და ვარდისფერი ბაგეები. ერთის სიტყვით, პირისახის ყოველი ნაწილი ფრიად ზომიერი დ მოხდენილი ჰქონდა. ამიტომაც, რაღა თქმა უნდა, ამისთანა უებარი მშვენიერებამ მთლად შეიპყრო ჭკუა-გონება ალადინისა და აღუგზო ცეც-ხლი სიყვარულისა. აქედგან შინ რომ დაბრუნდა, დედას ვერ



დაუმალა თვისი მღელვარება, მთელი დღის განმავლობაში შუ-ბლი არ გაუხსნია და არც ჭმუნვარება გადუყრია იგი ამ დღეს ჩვეულებრივზე ცოტასა სჭამდა და ისე დაწვა დასაძინებ-ლად, რომ დედის არც ერთ შეკითხებაზე ხმა არ ამოუღია.

მეორე დღეს ალადინმა, შეამჩნია-რა რომ თვისის სიჩუ-მით დედას მწუხარებას აყენებს, გადასწყვიტა. მისთვის მოეთხ-რო, თუ როგორ ნახა სეფექალი ბადრულბუდური. ალადინმა დედას არ დაუმალა ისიც, თუ რაგვარი შთაბეჭდილება მიიღო. სეფექალის ნახვით და ამასთანავე დედას აუწყა, რომ მსურს ხელმწიფეს ჩემდა საცოლოდ ვსთხოვო მისი ასულიო. „დე-დავ, – დაუმატა მან, – მე უიმისოთ ვეღარ ვიცოცხლებ. მიიღე შრომა და გამოუცხადე ხელმწიფეს ჩემი ვედრება“.

ამ უცნაურ სიტყვების გაგონებაზე ალადინის დედამ ხმა მაღლა გაიხარხარა. „შვილო ჩემო, – სთქვა მან, – ეგ რა გიფიქ-რია! ჭკუაზე ხომ არ შეიშალე, მაგისთანა სიტყვებს რომ მე-უბნები!“

– დედილო, – მიუგო ალადინმა, – მე დაგარწმუნებ, რომ სრუ-ლიადაც არა ვარ შეშლილი და გონება ჩემი მე მახლავს. წი-ნათვე ვგრძნობდი, რომ ჭკუა გადარეულობას მიკიჟინებდი და სიგიჟეს დამწამებდი; მაგრამ მაინც მე კიდევ ვიმეორებ, რომ მტკიცედ განზრახული მაქვს ჩემდა საცოლოდ. ხელმწიფეს ვსთხოვო სეფექალი ბადრულბუდური. იმ წყალობას, რომელ-საც მე, შენი პატივისმცემელი შვილი, გენუკვი, ნუ მომაკლებ და მის შესასრულებლად მოციქულობას ნუ დაიზარებ, თუ ჩე-მი სიკვდილი არ გწადიან.

ალადინის დედა ბევრსა სცდილობდა, რომ შვილისა-
თვის გაექარვებინა ასრეთი უჯერო სურვილი „ვსთქვათ,
– ეუბნებოდა დედა ალადინს, – ძნელი არ არის ხელმწიფის ნახვა.
მასთან შესვლის ნება აქვს ყველას, იმათაც, რომელთაც ჰსურსთ
მიჰმართონ მისს მართლმსაჯულებას და იმათაც, რომელნიც
რამე წყალობას ითხოვენ მისგან, თუ ამის ღირსნი არიან; მა-
გრამ შენი საქმე კი სულ სხვაა. ამას გარდა, არის კიდევ ერ



თი დაბრკოლებაც, რომელიც ამ შემთხვევაში არ მოგისაზრე-
ბია. მგონი შენც კარგად იცი, რომ ხელმწიფის ნახვა – თუ
რამე სათხოვარი გაქვს მასთან, – უსაჩუქროდ არ შეიძლება.
აბა ჩვენ რას მივართმევთ ხელმწიფეს?“

– მაგაზედ ნუ იდარდებ, დედაო, – იმედეულად უპასუხა
ალადინმა დედას, — ის ხილები, რომელიც უბით მოვიტანე, წყე-
ულ თვალთმაქცის-მიერ ჩემდა შემთხვეულ ხიფათის შემდეგ,
იცოდე, ხილი არ არის და არც დაფერილი ჭიქა, როგორც
მე და შენ გვეგონა. იგინი უძვირფასესი და უდიდეს ხელმწი-
ფეთა საკადრისი ქვებია. მათი ნამდვილი ღირსება ზედმიწევ-
ნით გავიგე ოქრომჭედლების საქულბაქეებში. ვერც ერთი ქვა,
რომელიც კი მე ვნახე ამ საქულბაქეებში, ვერ შეედრება ჩვენს
ქვებს სიდიდითა თუ სილამაზით, ხოლო ფასი მათი ფრიად
დიდია. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ასეთი საჩუქარი მოე-
წონება ხელმწიფეს. ჩინური დიდი სინი რომ გაქვს, იმაში და-
ეტევა ჩვენი ყველა ქვები. მოიტანე იგი, ზედ დავალაგოთ ქვე-
ბი და ვნახოთ, როგორ გამოჩნდება მათი მრავალფერობა და
როგორ იმოქმედებს ჩვენზე მათი ხილვა.

დედამ სინი მოიტანა. აბგაში მყოფი ქვები ამოალაგა და
სინზე დააწყო. ქვებმა კაშკაშა დღის სინათლეზე ისეთი
ბრწყინვალე შუქი ამოუშვეს, რომ მათი მრავალფერი ელვა-
რებისთვის თვალის გასწორება შეუძლებელი შეიქმნა. დედა-
შვილნი გაოცებულნი იდგნენ და სტკბებოდნენ ამ სახილვე-
ლით. თუმცა დედას არ ეჯერებოდა, რომ მართლა ეს ქვები
იმ ფასისა ყოფილიყო, როგორც ამბობდა ალადინი, მაგრამ
მაინც ამგვარი საჩუქარი ხელმწიფეთა საკადრისად სცნო, და
ამიტომაც თავს-იდვა სახიფათო საქმე მოციქულობისა, რათა და-
ეკმაყოფილებინა ერთის მხრით შვილის სურვილი და მეორეს
მხრით თვისი ცნობისმოყვარეობა.

რადგან საღამო ჟამი იყო და ხელმწიფის სასახლეში შე-
სვლის დროც უკვე გასული, თვისი განზრახვის შესრულება
მეორე დღისთვის გადასდო.



ალადინის დედამ, რომელმაც იკისრა ხელმწიფის კარზე
მისვლა, აიღო ჩინურის სინი, სავსე ძვირფასის ქვებითა, გაახ-
ვია და გამოჰკრა ორს თხელსა და მოსქელო – ხელსახოცში,
გამოკრულს ხელი გაუყარა და, წუთის ყოყმანის შემდეგ, სა-

ხლიდამ გამოვიდა და დაადგა იმ გზას, რომელიც ხელმწიფის სასახლისაკენ მიდიოდა. დიდი ვეზირი სხვა ვეზირებითა და დიდებულებითურთ ის იყო სასახლეში შედიოდა, რომ ალადინის დედამაც სასახლის კარებამდე მიაწია. აქ ირეოდა მრავალი ხალხი, რომელთაც სასამარლო საქმე ჰქონდათ. სასამართლოს კარები გააღეს. ალადინის დედაც სხვებთან ერთად შევიდა. ხალხს თითო-თითოდ იწვევდნენ, ისმენდნენ, არჩევდნენ და აბოლოებდნენ საქმეს. ამ რჩევა-განხილვაში დრომ გასტანა მზის გადაწვერამდის. ბოლოს ხელმწიფე აბრძანდა, გამოეთხოვა საბჭოს წევრებს და თავის პალატებში შებრძანდა. მას თან გაჰყვა დიდი ვეზირიც. ალადინის დედა მიჰხვდა, რომ დღეს ხელმწიფე აღარ გამობრძანდებაო და რადგან სხვებიც წავიდ-წამოვიდნენ, თვითონაც გამოვიდა სასახლიდგან და შინ დაბრუნდა.

საჩუქრებითვე შინ მომავალი დედა რომ დაინახა ალადინმა, აღარ იცოდა, რა ეფიქრა. მაგრამ მალე დედამ გაუფანტა იჭვნეულობა. ქვრივმა გულწრფელად მოახსენა შვილს: „შვილო ჩემო, ხელმწიფე ვნახე და მჯერა, რომ იმანაც დამინახა. მაგრამ იგი ძლიერ გართულიყო საქმეში და ესაუბრებოდა მარჯვენა მხრიდგანა თუ მარცხენიდგან მასთან მისულ მთხოვნელებს. ეს საუბარი იმდენ ხანს გაგრძელდა, რომ ბოლოს, მგონი, ხელმწიფეს მოსწყინდა, სიჩქარით ადგა, ყური აღარ ათხოვა კიდევ მრავალ მთხოვნელებს და თავის პალატებში შებრძანდა. იმედია, ჩვენი დაწყობილობა არ ჩაიშლება. ხვალ კიდევ ვეახლები, ალბად ხელმწიფე უფრო მოცლით იქნება“.

თუმცა ალადინის მოუთმენლობა მეტის-მეტი იყო, მაგრამ ამ პასუხმა იგი დაამშვიდა. როგორც პირველ დღეს, ისე მეორე დღესაც, დილა ადრიან, ალადინის დედა კიდევ მივიდა



სასახლეში და მიიტანა თავისი ბოღჩა. დღევანდელი მისი მოციქულობიდამაც არა გამოვიდა-რა. საბჭოს კარები დაკეტილი იყო. აქ შეიტყო, რომ სასამართლოს კარები იღება მხოლოდ დღეგამოშვებით. ხვალ უნდა მოსულიყავიო, უთხრეს ქვრივს. ესრეთი ამბავი მიუტანა შვილს დედამ. საჭირო იყო კიდევ მოეცადნა ალადინს. შემდეგ ამისა ალადინის დედა კიდევ ექვსჯერ ეახლა ხელმწიფეს. იგი თუმცა ხელმწიფის წინაშე დგებოდა, რომ მისთვის თავისი თავი დაენახვებინა, მაგრამ მაინც არა გამოვიდა რა: ექვსივე მოციქულობა ისეთივე უნაყოფო გამოდგა, როგორც პირველი.

ბოლოს, მეშვიდე დღეს, ჩვეულებრივ ჟამს რომ ყრილობა დაიშალა, ხელმწიფე შებრძანდა თავის პალატაში და დიდ ვეზირს, რომელიც მასთან შეჰყვა, ჰკითხა: „ეს რამდენიმე ხანია ერთი დედაკაცი ყოველ დღე მოდის ჩვენს სასამართლო პალატში და რაღაცა, ხელსახოცში შეხვეული, მოაქვს. ბჭობაზე დასხდომიდგან მოკიდებული მის გათავებამდის აქედგან ფეხს არ იცლის და მეცადინეობს მე მომიახლოვდეს. თუ კიდევ მოვიდა, მოუწოდეთ ჩემთან, რომ მოვისმინო მისი თხოვ-

ნა“. ალადინის დედა მერვეჯერაც გამოცხადდა სასახლეში. რაწამს ხელმწიფემ თვალი მოჰკრა დედაბერს, დარაჯების უფროსს უბრძანა აქ მომგვარეთ ეგ დედაკაციო.

საწყალი დედაკაცი, როცა მიუახლოვდა სამეფო ტახტს, ძალიან შეჰკრთა. იგი პირქვე დაეცა ხალზე, რომელიც ტახტის ხარისხებზე ეშალა. ალადინის დედა დამხობილი იდვა იმ დრომდის, ვიდრე ხელმწიფემ არ უბრძანა, ადექიო.

„კეთილო დედაბერო, – უთხრა ხელმწიფემ, – ვხედავ, რომ შენ მოდიხარ ჩემს კარზე და აქა რჩები საბჭოს დაშლამდე. მითხარ, რა საქმისათვის ირჯები?“

მოისმინა-რა ეს სიტყვები ალადინის დედამ, იგი კვლავ დაეყრდნო მუხლებზე და მერე მიჰმართა ხელმწიფეს თავის სათხოვარით, რომელსაც მიუმძღვარა მჭევრმეტყველური წინასიტყვაობა, რათა მოელმობიერებინა მისი გული. გრძელი წი-



ნასიტყვაობის შემდეგ ძლივს გაბედა გამოეთქვა თავისი გულის ნადები. წინასტყვაობა, რომლისაც საზოგადოდ ჩვეულნი არიან დედაკაცნი, აქ უფრო საჭირო იყო ხელმწიფის მრისხანების დასაცხრებად. შემდეგ ამისა ალადინის დედამ დაწვრილებით მოუთხრო ხელმწიფეს, თუ მის შვილს როგორი ენახა ბადრულბუდური, რაგვარი სიყვარულის ალი აღგზნებოდა ამ სეფექალისადმი და რამდენ გზის ცდილიყო ბედკრული დედა, რომ გაექარვებინა შვილისთვის უჯერო ტრფიალება, ერთნაირად საწყენი ძის დიდებულების მეფისაცა და მის ასულის სეფექალისაც. ბოლოს მეფეს მოახსენა: „თქვენი კაარის ხლება გამაბედვინა შიშმა, რადგან დარწმუნებული ვარ ჩემი შვილი რამე უბედურებას აიტეხავს, თუ წადილი არ შეუსრულდაო“.

დედაბერის სიტყვა ხელმწიფემ მოისმინა გულმშვიდად და ამისთანა უცნაური თხოვნა სასაცილოდ არ მიითვალა.

ამ გულწრფელ დედაკაცს, ვიდრე პასუხს მიუგებდა, ჯერ დაეკითხა, რა გიჭირავს ხელშიო. იმავ წამს დედაბერმა აიღო ჩინური სინი და ხელმწიფეს მიართვა. ძვირფას ქვების სიმრავლის დანახვამ ძლიერ გააკვირა - ხელმწიფე, რადგან ამისთანა დიდრონი, ამისთანა შვენებისა და ელვარების გამომცემელი ქვები მთელს თავის სიცოცხლეში არ ენახა.

„ოჰო, რა მშვენიერია! – წამოიძახა მეფემ. – მერე მიუბრუნდა დიდ ვეზირს და მოახსენა: „აბა, რას იტყვი ამ ძვირფას ძღვენის შესახებ? ის, ვინც ამის მფლობელია, ნუ თუ ღირსი არ არის ჩემის ასულის სეფექალის შეუღლებისა და ნუთუ ნება არა მაქვს ამისთანა კაცს მივათხოვო. ბადრულბუდური და მისგან კი მივიღო ეს ძღვენი?“

დიდმა ვეზირმა, მოისმინა-რა მეფის სიტყვები, აღარ იცოდა, რა ეთქვა.

დიდი ხანი არ იყო მას აქეთ, რაც მეფეს პირობა მიეცა დიდი ვეზირისთვის, ჩემს ასულს შენს შვილს მივათხოვებო. ამიტომაც დიდი ვეზირი მიუახლოვდა ხელმწიფეს და წასჩურ-

ჩულა: „ვიდრე ამ საქმეს გარდასწყვეტდეთ, გთხოვ, თქვენო დიდებულებავ, სამი თვის ვადა დამინიშნოთ. იმედი მაქვს ამ სამი თვის განმავლობამდე ჩემი შვილი, რომელიც თვით სეფექალსაც მოსწონს, როგორც კი აღიარა მან თვითონვე, შეიძლებს ალადინის ძღვენზედაც უძვირფასესი საჩუქარი მოგართვათ. გარდა ამისა ალადინი არც კი გიხილავთ თქვენის თვალით!“

მეფე, თუმცა დარწმუნებულიყო, რომ დიდი ვეზირი. ამგვარ ძღვენს ვერ წარმოადგენსო, მაგრამ მაინც დაეთანხმა. მერე მიუბრუნდა ალადინის დედას და უთხრა: „წადი შინ, დედაბერო, და შენს შვილს მოახსენე, რომ მე შემიწყნარებია მისი თხოვნა, ხოლო ქალს კი ვერ მივათხოვებ იმ დრომდე, ვიდრე შესაფერ მზითევს არ მოვუმზადებ, და ეს კი სამს თვეზე ადრე არ მოხერხდება. მაშასადამე ჩვენს კარს შენ უნდა იახლო სამი თვის დასასრულს“.

ალადინის დედა, რომელსაც არც კი სჯეროდა ამ საქმის კეთილად დათავება, მეტად გახარებული დაბრუნდა და შვილს ახარა კეთილი ამბავი. შვილმა უგულითადესი მადლობა მოახსენა ამ საქმის თაოსნობისათვის. თუმცა სამის თვის ვადა მეტად გრძელი იყო, მაგრამ მაინც დამშვიდდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ხელმწიფე თავის სიტყვას აღარ გადასთქვამდა.

ამის შემდეგ თითქმის ორმა თვემ გავლო. ერთს საღამოს ალადინის დედამ შენიშნა, რომ ლამპარში ჩასასხმელი ზეთი გამოლეოდათ. გავიდა ბაზარში ზეთის საყიდლად. ქუჩებში გავლისას შეამჩნია რაღაც სადღესასწაულო მზადულება. ხალხი საქულბაქეებს, დაკეტვის მაგიერ, აღებდა, ყვავილებით ამკობდა და გაჩირაღდნებას უპირებდა. ყოველ კაცს პირისახე უცინოდა. ალადინის დედა ზეთის გამყიდავ ვაჭარს დაეკითხა: „ეს რა ამბავიაო“. ვაჭარმა მიუგო: „ამ საღამოს დიდი ვეზირის შვილი ირთავს სეფექალს ბადრულბუდურს, ხელმწიფის ასულს. სეფექალი ეხლა აბანოშია და მალე გამობრძანდება. ყველა ეს



მზადულება მის მისაგებებლად იმართება“. ალადინის დედას მეტიც აღარ უნდოდა. იგი ისე სწრაფად გაექანა შინისაკენ, რომ სულს ძლივს-ღა იბრუნებდა. „საყვარელო შვილო, – სახლში შესვლისავე უმალ შესძახა გამწარებულმა დედამ ალადინს, – ყოველიფერი დავკარგეთ: დიდი ვეზირის შვილი ამაღამ ცოლად ირთავს სეფექალს ბადრულბუდურს“. შემდეგ ამისა შვილს მოუთხრო, თუ როგორ შეიტყო ეს სამწუხარო ამბავი და საეჭოც აქ აღარა იყო-რა, რადგან ამ საქმის შესახებ ყველანი ხმა-მაღლა ლაპარაკობდნენ.

პირველსავე გაგონებაზე ამ ამბავმა ელდანაკრავსავით გააშ-

ტერა ალადინი . მაგრამ სატრფიალოს სიყვარულმა ისევ
მალე გამოაფხიზლა. მას მოაგონდა თვისი ლამპარი, რომელსაც
ამგვარ შემთხვევაში დახმარება შეეძლო. „ვინ იცის, – წამოიძახა.
მან, – ვეზირის შვილი ამაღამ ისეთი ბედნიერი არ იყოს, რო-
გორც მას ჰგონია“. ალადინმა თავისი განზრახვა გულში და
იმარხა და დედას სთხოვა ვახშამი მოამზადეო. თვითონ კი შევიდა
ბაღში, აიღო ლამპარი და გახეხა იგივე ადგილი და ისრევე, რო-
გორც წინეთ. წამსვე მას მოევლინა გრძნეული და მოახსენა:

– რა გნებავს? მზათა ვარ გემსასურო, როგორც შენი ტყვე და
ტყვე ყველა მათა, რომელთაც ხელში უპყრიათ ეგ ლამპარი, –
გემსასუროთ მეცა და ყველა სხვა ტყტვებიც მაგ ლამპრისა.

– გამიგონე, – უთხრა მას ალადინმა, – შენ აქნობამდის ჩემ-
თვის მოგქონდა საჭმელი, როდესაც იგი შემომელეოდა, ახლა
კი სათხოვარი სხვაა და უფრო მძიმე. ხელმწიფეს ჩემდა სა-
ცოლედ ვსთხოვე სეფექალი, მისი ასული. იგი დამპირდა,
თხოვნას შეგისრულებო და სამი თვის ვადა დამინიშნა, ხოლო
აწ ეს პირობა მეფეს დაურღვევია და ამ საღამოს სეფექალს
აძლევს დიდი ვეზირის შვილს. ეხლა აი რასა გთხოვ: რაწამს
ახალგაზდა (ცოლ-ქმარნი შევლენ საძილე ოთახში, მოიტაცე
იგინი და მე მომგვარე.

– ბატონო ჩემო, მიუგო, გრძნეულმა, – მზათა ვარ აგი-
სრულო თხოვნა. სხვა ხომ აღარა გაქვს-რა სათქმელი?



– ჯერჯერობით არაფერი, – უპასუხა ალადინმა.

იმავე წამს გრძნეული უჩინარი შეიქმნა.

სეფექალის ქორწილისთვის ყველაფერი დიდის ზეიმით
მოემზადებინათ. ლხინი შესატყვისად გადაიხადეს. შუაღამე გა-
დასულიყო, რომ ნეფე-პატარძალი გაეშურნენ მათთვის დამზა-
დებულ ოთახისაკენ. ფეხი შესდგეს თუ არა, გრძნეულმა მოი-
ტაცა იგინი და ელდანაცემ ცოლ-ქმარს ერთ წამს ალადინის
ოთახში ამოაყოფინა თავი.

– წაიყვანე ეს ახალგაზდა ნეფე და დაამწყვდიე სადმე ვე-
რანა ადგილას, ხოლო ხვალ გარიჟრაჟზე ისევ გამოცხადდი,
– ასრე დაავალა გრძნეულს ალადინმა.

გრძნეულმა იმავწამს ვეზირის შვილი მიიყვანა ბნელ
ადგილას.

ალადინი სეფექალთან მარტოკა რომ დარჩა, მოწიწებით
ჰკადრა:

– ნურაფრისა ნუ შეგეშინდება, სეფექალო. თქვენ აქ სამშვი-
დობოში ბრძანდებით. თუმცა ძლიერ მიყვარხართ, მაგრამ ჩემ
თავს ნებას არ მივცემ, რომ დავივიწყო ჩემი უღრმესი პატი-
ვისცემა თქვენდამი, მოვალეცა ვარ ვიქონიო თქვენი პატივის-
ცემა. ეს საქმე ჩავიდინე მხოლოდ მისთვის, რომ უმართლო
ჩემი მეტოქე თქვენი პატრონი არ გამხდარიყო. თქვენ თქვე-
ნის მშობელის ხელმწიფის პირობისამებრ ჩემი უნდა იყოთ.

სთქვა რა ეს სიტყვები, ალადინი გაშორდა მას. სეფექა-
ლი განცვიფრდა. მთელი ღამის განმავლობაში მას ერთ წამ-

საც არ სძინებია,

მეორე დღეს, დანიშნულ ვადას, გრძნეული ისევ გამოცხადდა, და ალადინს მოახსენა:

– მზათა ვარ, რა გნებავს, მიბრძანე.

– ვეზირის შვილი, – უთხრა ალადინმა, – გამოიყვანე იმ ადგილიდგან, საცა დაგიმწყვდევია და მის ახალგაზდა მეუღლესთან ერთად მიიყვანე ხელმწიფის სასახლეში.

დიდი ვეზირის შვილი და მისი მეუღლე გრძნეულმა ერთ



წამს მიიყვანა ხელმწიფის სასახლის იმავე ოთახში, რომლიდგანაც მოეტაცნა.

გრძნეულმა აღასრულა თუ არა ალადინის ბრძანება, ხელმწიფე იმავწამს შებრძანდა ნეფე-პატარძლის საძილე ოთახში თავის ასულის მოსაკითხავად. დიდი ვეზირის შვილმა, რომელიც სიცივისაგან ცახცახებდა, – რადგან მთელი ღამე ცივ. ადგილას იყო დამწყვდეული, – გაიგო თუ არა კარების ჭრიალი, ადგა და სალაროში შევიდა.

ხელმწიფე მივიდა სეფექალთან, გადუკოცნა ორთავე თვალები და ჰკითხა, როგორ ხარო. მერე თავი აუწია და დააშტერდა მის პირისახეს ძალიან გაუკვირდა მეფეს, რომ მის ასულს დაღონებული სახე ჰქონდა. მაგრამ ამ დანაღვლიანების მიზეზი კი ვერ შეიტყო. მეფე მიხვდა, რომ აქ რაღაც ამბავი უნდა იყოსო. ადგა მაშინათვე, დედოფალთან მიიჭრა და უამბო, თუ რა ყოფაში ნახა თვისი ასული.

დედოფალი დაუყოვნებლივ გაეშურა თავის ასულის სანახავად. გულდაწყვეტილმა დედამ ჰკითხა ქალს მისი ამბავი და რაც კი გარდახედოდა მას შეიტყო. მაგრამ დაჯერებით კი როგორღაც არ ეჯერებოდა ეს ამბავი.

– ადე, ჩემო ასულო, – უთხრა დედამ ქალიშვილს, – შენ რაღაც ცუდი სიზმარი გინახავს. დაანებე თავი შენგანვე შეთხზულს ოცნებას. ნუ თუ არ გესმის საყვირთა, სპილენძ-ჭურთა და წინწილათა ხმა. ყოველივე ეს გამოგაფხიზლებს, გაგახარებს, გასიამოვნებს და დაგავიწყებს იმ სისულელეებს, რომელსაც მომითხრობა

ამნაირად დავიწყებას მისცეს წუხანდელ ღამეს მომხდარი უცნაური შემთხვევა. მხოლოდ დიდი ვეზირის შვილი ძლიერ დაღონებული იყო. მას მხოლოდ უზომო თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა, რომ ყოველიფერი გამოემჟღავნა.

სასახლის ამბები მარტო ალადინმა იცოდა და დარწმუნებულიც იყო, რომ ახალგაზდა ცოლქმარი, მიუხედავად წუხანდელ უსიამოვნო შემთხვევისა, ერთად არიანო. მას არ სურდა



იგინი მშვიდობიანად დაეტოვებინა. დაბინდდა თუ არა, ალადინმა კიდევ ლამპარს მიჰმართა. იმავწუთს გამოცხადდა გრძნეული. ალადინმა ისევ ის დაავალა, რაც წინა ღამეს. გრძნეულმა

ყოველივე შეასრულა. დიდი ვეზირის შვილმა ეს ღამეც, წინა ღამესავით, ცივს სადგურს გაათია, ხოლო სეფექალი კი ალადინის ოთახში მარტოკა დარჩა. გრძნეული დილით. ადრე ისევ გამოცხადდა და ალადინის ბრძანებისამებრ ცოლქმარი მიიყვანა სასახლის იმავე ოთახში, რომლიდამაც იგინი მოეტაცნა.

ხელმწიფე გულის ფანცქალით მოელოდა შეეტყო, თუ სეფექალმა როგორ გაატარა მეორე ღამე. იგი დილა ადრიან შებრძანდა ნეფე-პატარძლის ოთახში. მეფე გაოცდა, რადგან სეფექალი გუშინდელზე უფრო დაღვრემილი ნახა. ხელმწიფეს ძლიერ უკვირდა, რომ სეფექალი დღეს უფრო დაღონებული იყო, ვიდრე გუშინ. ამიტომაც იგი საშინლად განძვინდა, რადგან შენიშნა, რომ მას რაღაცას უმალავდნენ.

– შვილო ჩემო, – ამოღებულის ხმლით ხელში მიჰმართა თვის ასულს ხელმწიფემ, – გამიმჟღავნე რასაც მიმალავ, თუ არა გსურს, რომ თავი გაგაგდებინო.

სეფექალი განრისხებულ და შეურაცხყოფილი ხელმწიფის შეხედულობამ უფრო შეაშინა, ვიდრე ხმალმა და ამიტომაც გადასწყვიტა დაწვრილებით ეამბნა ყველაფერი, რაც შეემთხვა წარსულ ორ ღამეს.

ხელმწიფეს უფრო მეტად ის ეწყინა, რომ იფიქრა, ჩემს ასულს ეს უცნაური ფათერაკი სრულიად არევდაო. ამასობაში დიდი ვეზირის შვილიც შემოვიდა მათთან და თავის მხრითაც ცოლის ნაამბობის სიქუშმარიტე აღიარა და ამასთანავე ხელმწიფეს ზედმიწევნით დაუხატა მათ მიერ ნაგრძნობ ტანჯვა-წვალებათა სურათი.

მე მზათა ვარ თავი მოვიკლა – დაუმატა მან, – ვიდრე-ღა თავსვიდვა ამგვარი ცოლ ქმრობა, თუ, რასაკვირველია, კიდევ მომელის ისეთივე ტანჯვა, როგორიც უკვე გამოვცადე. და



რწმუნებული ვარ სეფექალიც ამავე აზრისაა. გულსრულად გევედრები, თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენი ქორწინება დაარღვიო და ეს ამბავი საყოველთაო საცნობლად გამოაცხადო.

მწვავედ დანაღვლიანებულმა ხელმწიფემ, თავის ქალის ასრეთ უნუგეშო მდგომარეობისაგამო, მიიღო ეს რჩევა და გასცა ბრძანება, რომ მოესპოთ შვება-ლხენა ყველგან – სასახლესა, სატახტო ქალაქსა და მთელს სახელმწიფოში.

სამი თვის ვადა, რომელიც ხელმწიფემ ალადინს დაუნიშნა სეფექალის ბადრულბუდურის მისათხოვებლად, უკვე გავიდა. შესრულდა თუ არა სამი თვე, ალადინმა მეორე დღესვე, დილა ადრიანად, სასახლეში გაგზავნა თვისი დედა, რათა ხელმწიფისთვის გაეხსენებინა მისი პირობა.

ალადინის დედა მივიდა სასახლეში, ეახლა ხელმწიფის ტახტს და, ჩვეულებრივ, მეფის წინაშე პირქვე დაემხო. ხელმწიფემ ადგომა უბრძანა და მერე ჰკითხა, რა გნებავსო.

– გიახელი მოგაგონო, თქვენო დიდებულებავ, რომ სამი თვის ვადა, რომელიც დაგვინიშნეთ, უკვე შესრულდა და ეხლა

გევედრებით, თქვენო დიდებულებავ, რომ პირობა აღასრულოთ.

სამი თვის ვადა იმ იმედით დაუნიშნა ხელმწიფემ ამ დედაკაცს, რომ ეგონა ამ თხოვნას აღარ გამიმეორებსო. დღევანდელი თხოვნის აღსრულება ხელმწიფეს უხერხულად ეჩვენა და რადგან თვითონ არ იცოდა, რა ეთქა დედაკაცისთვის, მიჰმართა დიდ ვეზირს და ჰკითხა, შენ რას ფიქრობ ამ საგნის შესახებო.

– თქვენო უდიდებულესობავ, – მოახსენა დიდ ვეზირმა, რა გაწუხებს იმგვარ საქმისთვის, რომელიც თავის თავად არაფერ სიძნელეს არ წარმოადგენს. თქვენს ასულს სეფექალს დაადეთ ისეთი ფასი, რომ ალადინის ყველა სიმდიდრე ვერ გასწვდეს მას. ეს იქნება საკმაო მიზეზი, რომ ალადინმა უარჰყოს თავისი თავხედური განზრახვა.

ხელმწიფემ მოიწონა ეს რჩევა. მერე მიუბრუნდა ალადინის დედას და, ერთი წამის დაფიქრების შემდეგ, მოახსენა:





– კეთილო დედაკაცო, ხელმწიფეები არ გადუდგებიან ხოლმე თავის სიტყვას. მზათა ვართ შევასრულო ჩემი პირობა და შენი შვილი გავაბედნიერო ჩემის ასულის, სეფექალის, მასთან შეუღლებით. ხოლო ჯერ არ ვიცი, რა სარგებლობას მოუტანს ჩემს ქალს ეს ქორწინება. შენს შვილს მოახსენე, რომ მისი თხოვნა დაუყოვნებლივ აღსრულებულ იქნება, თუ იგი მომართმევს ორმოც ოქროს სინს, პირითპირამდის გავსილს იმგვარივე ნივთებით, როგორიც შენის ხელით უკვე გამომიგზავნა. ამას გარდა კიდევ უთხარი, რომ ეს სინები სასახლეში უნდა მოიტანოს ორმოცმა ზანგმა და ყოველს ზანგს უნდა ახლდეს ორმოც ორმოცი ახალგაზდა, ლამაზი, ბრგე, უძვირფასეს ტანისამოს მოსილი თეთროსანი ტყვე. წადი ახლა, ბერო დიაცო, მე შენს პასუხს მოვუცდი.

ალადინის დედამ ხელახლა თაყვანისცა ტახტს და შინისაკენ გასწია. მიმავალი დიაცი მწარედ იღიმებოდა, როცა იგონებდა თავის შვილის სულელურ ოცნებას.

– აბა სად იშოვნის იგი ამგვარ სიმდიდრეს, ჰფიქრობდა დედაკაცი, – წინათვე ვიცოდი, რითაც დასრულდებოდა ეს საქმე.

შინ რომ მივიდა, შვილს უამბო ყველაფერი, რაც დაავალა ხელმწიფემ და დაწვრილებით მოუთხრო, თუ რა პირობებს უდებდა ხელმწიფე მის ასულის მთხოვნელს.

დედას ეგონა, ეს პასუხი ჩემს შვილს თავზარს დასცემსო, მაგრამ ალადინმა წარბიც არ შეიხარა და დედას მოახსენა:

– ვეცდები დავაკმაყოფილო. ხელმწიფე, ახლა შენ სადილის თავდარიგს შეუდექი და მანამ მე მოვისაზრებ, თუ როგორ მოვაგვაროთ ეს საქმე.

დედა სადილის მზადებას შეუდგა. ხოლო ალადინმა კი

აიღო ლამპარი და გახეხა. გამოეცხადა. გრძნეული და მიჰმართა ალადინს იმ გვარივე სიტყვებით, როგორც წინად.

ალადინმა განუმარტა თავისი სათხოვარი.

– 35 –

– ხელმწიფე ცოლად მრთავს თავის ასულს, სეფექალს. მაგრამ მთხოვს წინათვე წარვუდგინო ორმოცი მძიმე და ბაჯაღლო ოქროს სინი, გავსილი იმ ბაღის ხილით, სადაც ვიპოვე ლამპარი, რომლის ტყვე შენა ხარ. ხელმწიფე აგრეთვე ითხოვს, რომ ეს ორმოცი სინი მას მიართვას ორმოც ზანგმა და ყოველ ამ ორმოც ზანგთაგანს წინ უძღოდეს ორმოც-ორმოცი თეთროსანი ტყვე და ყოველი მათგან იყოს ჭაბუკი, ლამაზი, მოყვანილი ტანისა და მშვენიერად შემოსილი. წადი და მომიტანე ეს ძღვენი ისე სწრაფად, რომ მე შემეძლოს იგი წარვუდგინო ხელმწიფეს იმ დრომდე, ვიდრე იგი საბჭოდგან გამობრძანდებოდეს.

გრძნეულმა მოახსენა, შენი ბრძანება დაუყოვნებლივ შესრულებული იქნებაო, და გაშპა. ხოლო რაოდენიმე ხნის შემდეგ ისევ დაბრუნდა. მას ახლდა ორმოცი ზანგი, რომელთაც ხელში ეჭირათ ოქროს ძვირფასი სინები; მათში ელაგა მარგალიტი, ალმასი, ლალი და იაგუნდი. ეს ძვირფასი თვლები სილამაზითა და სიდიდით აღემატებოდა წინანდელ ქვებსა, რომლებიც უკვე წარედგინა ხელმწიფესთვის. ამას გარდა ყოველს სინს ზემოდგან ეფარა ვერცხლის ფარჩეული, ოქროთი ნაქარგი. ყველა ამ შავსა და თეთრ ტყვეებს, ხელში დაჭერილ ჭურლებიანად, თითქმის მთელი სახლი მოეცვათ.

ალადინის დედა ამ დროს ბაზრიდგან დაბრუნდა და ამდენი ხალხი და ეს სიმდიდრე რომ დაინახა, მეტად გაუკვირდა. ვიდრე დედა ყველა ამას კარგად გასინჯავდა, ალადინმა დაავალა:

– დედილო, ახლავე სასახლეში უნდა წახვიდე და ხელმწიფეს მიართვა ძღვენი – მზითევი ბადრულბუდურისა, დეე ამ ძღვენის მხილველ ხელმწიფემ განსაჯოს ჩემი მეცადინეობა.

ალადინმა დედის პასუხს არც კი დაუცადა, გააღო ალაყაფის კარი და ქუჩაში გაამწკრივა მონები, ასე რომ ყოველს თეთრს მონას უკან მოუყენა თითო. ზანგი, რომელსაც თავზედ ოქროს სინი ედო.

– 36 –

ალადინის სახლიდგან გამოსულმა პირველმავე ზანგმა მიიქცია ყოველი გამვლელის ყურადღება. ხოლო ვიდრე გამოვიდოდა ყველა ორმოცი მონა და ისიც შერეულად-წინუკან დგომით, მთელი ქუჩა ხალხით გაივსო. ყოველი მხრიდგან მორბოდნენ ამ უჩვეულებრივო და უცნაურ სახილველის საყურებლად. ყოველი მონის ტანისამოსი ისეთის დიდის ფასისა იყო და ისეთ ნაირად იყო შემკული ძვირფას ქვებით, რომ მცოდნე კაცები გაიძახოდნენ: შეცთომა არ იქნება, თუ ყოველი მონის ტანისამოსი

თითო მილიონზედ მეტი დავაფასეთო. ყოველი ქსოვილის ხელ-
კეთილობა, ყოველი მონის სიმარდე, კოხტა შეხედულობა,
ვაჟკაცური გამომეტყველება, მათი თანტოლობა, ურთიერთი-
საგან ერთნაირ მანძილზე სიარული, ელვარება და წარმოუდ-
გენელი სიმდიდრე ძვირფას ქვებისა, რომლებიც ასხმულიყო
მათ ქამრებზე და ბოლოს მათი იარაღის ვადა, რომელიც
ელვარებდა ალმასებითა, – ყოველივე ეს დიდ შთაბეჭდილებას
ახდენდა მაყურებელ ხალხზე. ხალხი თვალს ადევნებდა ამ სა-
კვირველ სახილველობას იმ დრომდე, ვიდრე სასახლისკენ მი-
მავალი ტყვე-მონები არ დაჰფარა გზის სივრცემ.

ხელმწიფეს აუწყეს მონების ბოსვლა. მეფემ დაუყოვნებლივ
ბრძანა შემოეყვანათ იგინი სასახლეში. სამსჯავრო პალატის კა-
რები გაახვეს. მონები შევიდნენ და მარჯვენასა და მარცხენა
მხარეს გამწკრივდნენ. დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს მონებ-
მა, როცა ერთბაშად თავი მოუხარეს ხელმწიფეს, და თვი-
სის მორთულობის კოპწიაობით და მშვენებით დააჩრდი-
ლეს ყოველივე, რაც კი ბრწყინავდა სასახლეში. ამ უთვალავი
სიმდიდრის მხილველი მეფე მეტად განცვიფრდა. ამ წამიდგან
იგი თითქმის შეურიგდა იმ აზრს, რომ აღესრულებინა ალადი-
ნისათვის წინადადებული თვისი პირობა. მისი ფიქრით, ამის-
თანა ძღვენის მორთმევა შეეძლო მხოლოდ დიდგვარიანსა და
სიდარბაისლე-თავაზიანობით განთქმულ კაცს. ამგვარ მოსაზრე-
ბისაგამო ხელმწიფე მოწყალედ მოეპყრო ალადინის დედას და
მოახსენა:

– 37 –

– კეთილო დედაკაცო, წადი და აცნობე შენს შვილს,
რომ მე მოუთმენლად მოველი მას. ნუღარ დაიგვიანებს. წარ-
მოსდგეს ჩემს წინაშე და ძღვენის წილ მიითვალოს სეფექალი,
ასული ჩემი და მით მასიამოვნოს.

შინისაკენ გაჩქარებით მიმავალ ალადინის დედას პირისა-
ზეზედვე ეტყობოდა, რომ მას კეთილი ამბავი მიჰქონდა.

– შვილო ჩემო, – შორიდგანვე ახარა ალადინს დედამ,
ხელმწიფემ, თანახმად მთელის სასახლის დიდკაცობისა, გამოაც-
ხადა, რომ შენ ღირსი ხარ შეეუღლო ბადრულბუდურს. იგი
მოუთმენლად მიგელის, რომ დაგაქორწინოთ ქალ-ყმანი.

ალადინს აღუსრულდა მისი გულითადი სურვილი. იგი გა-
დაეხვია დედას, მადლობა გადუხადა გარჯისათვის, მერე თავის
ოთახში შევიდა, აიღო ლამპარი, რომელსაც თავის ბედნიერე-
ბის საუნჯედ სთვლიდა, და გახეხა.

გრძნეული, მუდმივი აღმასრულებელი მისის ბრძანებისა,
მაშინათვე გამოცხადდა.

– გრძნეულო, – უბრძანა მას ალადინმა, – იმიტომ მოგიხმე,
რომ შენ ამავეწამს უნდა მაბანაო, ბანების შემდეგ მომიმზადო
იმგვარი ძვირფასი და მშვენიერი საცმელი, როგორიც ჯერ არც
ერთს ხელმწიფეს არა სცმია.

ალადინს ჯერ არც კი დაესრულებინა ეს სიტყვები, რომ
იგი უხილავი შეიქმნა. გრძნეულმა ერთ წამს მიაფრინა სხვა და

სხვა ფერ მარმარილოს ქვით აგებულს და მშვენიერს აბანოში, სადაც ალადინს, რომელიც თავის თვალით ვერავის ამჩნევდა, გახადეს საცმელი, აბანეს ერთს ვრცელსა და კოხტა აუზში, მერე იქიდგან შეიყვანეს ნელთბილ წყლიან ოთახში, დაბანეს ტანი სხვა და სხვაგვარ სურნელოვანებით. ამის შემდეგ კიდევ აბანავეს ნაირნაირ სითბოიან აუზებში. დასასრულ, უკანასკნელ აუზიდგან რომ ამოიყვანეს ალადინი, მას მთლად ეცვალა ფერი: პირისახე გაუახლდა, გაუსპეტაკდა, ვარდისფრად ექცა და მთელი ტანიც გაუთეთრდა და ნარნარი გაუხდა. ალადინი ტანთსაცმელ ოთახში რომ გამოიყვანეს, იქ თავისი



ძველი საცმელი აღარ დახვდა. მის მაგიერ გრძნეულს დაელაგებინა იმისთანა ტანისამოსი და ფეხსაცმელი, როგორიც ალადინს ჰსურდა. ალადინი გაოცდა, როცა იხილა სიმშვენიერე ახალის ტანისამოსისა. გრძნეულმა შემოსა იგი. ალადინს აკვირვებდა მოხდენილობა ყოველის საცმელისა, რომლის მაგვარი სახილველი ვერც კი წარმოედგინა.

შეკაზმა - მორთვის შემდეგ გრძნეულმა ალადინი იმავე ოთახში მიაფრინა, საიდგანაც ამას წინად უხილავად გაჰქრნენ. მერე გრძნეული მიუბრუნდა ალადინს და ჰკითხა:

– აღარა გაქვს-რა კიდევ დასავალებელი?

– როგორ არა, – უპასუხა ალადინმა, – მსურს კიდევ ამავე წამს მომიყვანო ისეთი ცხენი, რომელიც შეხედულობითა და სიმშვენიერით აღემატებოდეს ხელმწიფის საჯინიბოს ყველა ცხენებს და ამას გარდა მისი უნაგირი, ყაჯარი, აღვირი და ყოველი კაზმულობა ერთ მილიონზე მეტი ღირდეს. გავალებ აგრეთვე მომგვარო ოცი მონა ისეთივე ჩაცმულობით, როგორიც ეცვათ იმათ, რომელნიც ხელმწიფეს წარვუგზავნე. იგინი უნდა ჩემს ამალას შეადგენდნენ და თან მომდევდნენ. კიდევ უნდა მომიყვანო სხვა ოცი მონაც, რომ იგინი, ოროლ-ოროლი, წყობისად, წინ მიძღოდნენ. მომგვარე აგრეთვე ექვსი მხევალი, მოსამსახურედ ჩემის დედისათვის. ესენიც ბადრულბუდურის მოსამსახურეებზე ნაკლებ არ უნდა იყვნენ ჩაცმულ-მორთულნი, და ყოველს მათგანს უნდა მიჰქონდეს ისეთივე საცმელი, როგორიც დედოფლის საცმელია. ჩემთვის საჭიროა აგრეთვე ათასი თუმანი ოქროს ფული, ათს ქისად განაწილებული. ეს არის ჩემი ბრძანება. წადი და, რაც შეიძლება მალე, შემისრულე.

დაასრულა-რა ალადინმა თვისი მოთვლა, გრძნეული იმავ წამს გაჰქრა და მცირე ხნის განმავლობაში მოჰგვარა ტაიჭი და ორმოცი მონა, რომელთაც ხელში ეჭირათ თითო-თითო, ოქროს ფულით სავსე, ქისა; მოიყვანა აგრეთვე ექვსი მხევალი, რომელთაც თავზედ. ედოთ საალადინო დედის საცმელი.



ეს ტანისამოსი ყველა სხვა საცმელს აღემატებოდა სიკეთითა და ფერით, და შეხვეული იყო ვერცხლის ბოღჩებში.

გრძნეულმა ყოველივე ეს წარუდგინა ალადინს.

ალადინმა ათ ქესათაგან ოთხი თავის დედას მისცა, დაჭირების დროს მოიხმარეო. დანარჩენი ექვსი ქისა მონებს გადასცა და დაავალა ხელმწიფის სასახლისკენ მიმავლობისას, გზა და გზა, ქუჩებში ფული განაბნიეთ მუჭამუჭაო. მერე ალადინმა მოახდინა განკარგულება შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა ევლოთ სასახლემდის. თავის დედასაც სთხოვა მორთულიყო. მოემზადნენ. ალადინმა დაითხოვა გრძნეული ამ სიტყვებით: „როცა დამჭირდები, მოგიწვევო“. გრძნეული გაჰქრა.

ალადინი დაუყოვნებლივ აღჯდა ცხენზე და გაემგზავრა სასახლისკენ თანახმად იმ წეს-რიგისა, რომელიც წინათვე განეგო. თუმცა მანამდე იგი ცხენზე არ მჯდარიყო, მაგრამ ეხლა ისე მოხდენილად იჯდა, რომ კარგ მხედარსაც გამოუცდელი არ ეგონებოდა. ქუჩები იმავწამს გაივსო. უთვალავ ხალხით, რომელსაც ჟრიამული გაჰქონდა და უფრო მეტად კი მაშინ, როდესაც ექვსი მონა, მარჯვნივა და მარცხნივ, ოქროს ფულს აბნევდა. ჟრიამული იმ ხალხს კი არ გაჰქონდა, რომელიც ერთმანეთს ეცემოდა და გაბნეულ ფულს აგროვებდა, არამედ იმ კაცებს, რომელნიც ჩამომავლობით მაღალი წოდებას ეკუთნოდნენ და ალადინის სიუხვით გაშტერებულნი იყვნენ. ალადინი ისე იყო გამოცვლილი, რომ იგი ვეღარ იცნეს ვერც იმათ, რომელნიც წინად მასთან ერთად ქუჩებში დროს ატარებდნენ და ვერც იმათ, რომელთაც რაოდენიმე დღის წინად ენახათ. ყოველივე ეს ასე მოჰხდა – ლამპრის ძალით, რომელიც მის მქონებელს იმოდენადვე ახალისებდა, რაოდენადაც ჰმატებდა სიმდიდრესა და ღირსებას.

ალადინი მიბრძანდა სასახლეში. ხელმწიფეს წინათვე განკარგულება მოეხდინა მის დასახვედრად. მსახურთ-უხუცესი მეფის ბრძანებისამებრ მიესალამა ალადინს და მიაცილა სამსჯავროს პალატამდის. აქ მსახურთ-უხუცესმა უზანგი დაუჭირა და



ალადინი ცხენიდგან ჩამოსვა, თუმცაღა იგი, თავის თავმდაბლობით, ამის წინააღმდეგი იყო და უზანგის ხელმოჭიდებას უარჰყოფდა. პალატაში შესვლის დროს მისნი მონა-მსახურნი ორ წყობისად გაემწკრივნენ. მსახურთ-უხუცესმა, რომელიც ალადინს მარცხენა მხრით მიჰყვებოდა, მიიყვანა იგი ხელმწიფის ტახტამდე.

ხელმწიფემ თვალი მოჰკრა თუ არა ალადინს, მეტად გაოცდა, ჯერ ერთი მისის ჩაცმულობით, რადგან ამგვარი საცმელი თვითონაც არასდროს არა სცმოდა, და მეორეც მისის სიმშვენიერითა, სილაღითა და დიადობით, რომელსაც მოკლებული იყო ალადინის დედა.

ალადინი მიუახლოვდა ხელმწიფეს და ჰსურდა მის წინაშე დამხობილიყო, მაგრამ მან ნება არ მისცა, თვითონვე გადაეხვია და გამოუცხადა უგულითადესი სიყვარული და სთხოვა აბრძანებულიყო და დაბრძანებულიყო. ხელმწიფისა და დიდი ვეზირის შუა. შემდეგ ამისა ალადინმა აღაღო პირი თვისი და

სიწყნარითა და პატივისცემით მოახსენა ხელმწიფეს: ისეთი პატივი დამდეთ და ისე დამიხვდითო, რომ ამის ღირსი მე არ ვიყავიო. ბოლოს შენდობა ითხოვა მისგამო, რომ მან გაბედა და მიაპყრო თვისნი თვალნი, ფიქრნი და მისწრაფებანი ხელმწიფის ასულს, შეუდარებელს სეფექალს.

– და, – დაუმატა ალადინმა, – ვერ დავუმალავ თქვენს დიდებულებას, მე უსათუოდ ნაღველი თან გადამიტანს, თუ ჩემის სურვილის აღსრულების იმედი დამეკარგა; თუმცა-ღა ამასთანავე მე ჩემს თავს ამ ბედნიერების ღირსად არა ვსთვლი.

– შვილო ჩემო, – მიუგო ხელმწიფემ მეორედ მოხვევნის შემდეგ, შენ მაწყენინებ, თუ ერთს წუთს მაინც იფიქრებ, რომ მე ოდესმე. ვუღალატებ ჩემს პირობას, დღეიდგან შენი სიცოცხლე ჩემთვის ძვირად ღირს და ამიტომაც მისს სადღეგრძელოდ არ შემიძლიან არ მოგცე წამალი, რომელიც ჩემს განკარგულებაშია. შენს ცქერასა და შენთან საუბარს მე ეხლა ჩემსა და შენს სიმდიდრეზედაც მეტად ვაფასებ.

– 41 –

დაასრულა-რა ხელმწიფემ ეს სიტყვები, იმავწამს, მისის ნიშნებით, გაისმა ხმა საყვირებისა, სალამურისა და წინწილისა. ხოლო ალადინი ხელმწიფემ წაიყვანა მშვენიერს პალატში, საცა მოემზადებინათ საუცხოვო სადილი.

საუბრის დროს ალადინმა გამოიჩინა ცოდნა და სიბრძნე მრავლგვარი, და ამან უფრო დაარწმუნა ყველანი, რომ ალადინი, როგორც წინათაც გაგონილი ჰქონდათ, კეთილ-სათნო კაცი იყო. სტუმრობის შემდეგ ხელმწიფემ მიიწვია მსაჯულთ-უხუცესი და შეადგენინა სეფექალის ბადრულბუდურისა და ალადინის დაქორწინების ხელშეკრულობის სიგელი.

ხელშეკრულობა რომ მოამზადეს, როგორც კანონი ამას მოითხოვდა, ხელმწიფე დაეკითხა ალადინს: „არა გსურს, რომ აქ დარჩე, რათა ამაღამვე ქორწილი გავაჩაღოთო“.

ალადინმა ხელმწიფეს მიუგო: „თუმცა დიდია ჩემი სურვილი, რომ რაც შეიძლება მალე გავბედნიერდე თქვენის დიდებულების მოწყალებით, მაგრამ მაინც, გთხოვ, გადასდო. ეს საქმე იმ დრომდის, ვიდრე მე სეფექალის წოდებისა და ღირსების საკადრისს სასახლეს არ ავიშენებ. ამიტომაც, გთხოვ, მანიშნოთ შესაფერი ადგილი სასახლის ასაგებად. ყოველ ღონისძიებას ვიხმარ, რომ, რაც შეიძლება, მალე დავასრულო მისი აგება.

– შვილო ჩემო, – უთხრა ხელმწიფემ, – საცა ინებებ და საცა მოსახდენი იყოს იქ დასდგი სასახლე. გახსოვდეს კი, რომ რაოდენადაც დააჩქარებ ჩემს ასულთან შეუღლებას, იმოდენად ადრე დააგვირგვინებ ჩემს სიხარულსაც.

დასდეს-რა ესრეთი პაემანი, ერთმანეთს გადაეხვივნენ და გაიყარნენ. ალადინი აღჯდა ტაიჭზე და იმავე წესრიგით, რა წესრიგითაც სასახლეში მოვიდნენ, შინ დაბრუნდა. გზაზედ ისევ კვლავინდებულად მიეგება აუარებელი ხალხი, რომლის ჟრიამული და ალადინის სიუხვით გამოწვეული ხოტბის ხმა

ყურთა სმენას აყრუებდა. ალადინი, შევიდა-რა თავის სახლ-



ში, ჩაიკეტა ცალკე ოთახში და გამოიხმო გრძნეული, რო-
მელიც დაუხანებლივ გამოცხადდა.

– გრძნეულო, – უბრძანა მას, – არ შემიძლიან არ შევაქო
შენი გამრჯელობა, რადგან გულმოდგინედ მისრულებ ყოველ-
სავე ჩემს თხოვნას, ხოლო ეხლა შენ გმართებს უფრო მეტი
გამჭრიახობა და უფრო მეტი სიმარდე, ვიდრე წინად. გავა-
ლებ, სულ უმცირეს დროს განმავლობაში, ხელმწიფის სასახ-
ლის პირდაპირ, ამიშენო სასახლე, მართებული სეფექალის ბა-
დრულბუდურისა, ჩემი პატარძლისა. შენთვის მომინდვია არჩე-
ვა მასალისა, ესე იგი ძოწეულისა, იასპისა, აქატისა, ამეთვის-
ტონისა და უკეთეს და მრავალფერი მარმარილოსი. მსურს, რომ
სასახლის ზემო სართულზე გააკეთო. გუმბათის მსგავსი პალა-
ტი, ოთხ თანასწორ კუთხოვანი, ოც-და-ოთხ ფანჯრიანი, ასე
რომ ყოველ მხრივ დატანებული ჰქონდეს ექვს-ექვსი ფანჯარა,
და ყოველ ფანჯარას ჰქონდეს დარაბი, მოჭედილი ბრილიან-
ტითა, ლალითა და ზურმუხტით, ასე რომ ყოველ ამის-
ებრი დედამიწის პირზედ ჯერ არავის ენახოს. მსურს
აგრეთვე რომ სასახლეს ჰქონდეს ეზოები და ბაღი
უმეტეს ყოვლისა საჭიროა, რომ სასახლეს იმ ადგილას,
რომელსაც მანიშნებ, ჰქონდეს სალარო, სავსე ოჭრო
ვერცხლის ფულითა სასახლეში უნდა იყოს სამზარეუ-
ლო, საკუჭნაო, სარდაფი, ავეჯეულობის საწყობი, ხოლო ავე-
ჯი უნდა იყოს შესაფერი წელიწადის ყოველი დროისა და სა-
სახლის სიმშვენიერისა. უნდა გაიმართოს საჯინიბოც და მასში
იყოს უკეთესი ცხენები, მეჯინიბენი და ყველაფერი, რაც-კი
საჭიროა ნადირობისათვის, მოეწყოს უკლებლივ. ამასთანავე
უნდა იყოს სამზარეულონი და ხელის მოსამსახურეები, ხოლო
სეფექალისთვის მხევლები. მიხვდებოდი ჩემს ნანატრს. წადი
ახლა და, როცა ყველაფერს მოამზადებ, შემატყობინე.

მზე უკვე ჩადიოდა, როცა ეს საქმე ალადინმა დაავალა
გრძნეულს, მეორე დღეს, რიჟრაჟზე, ალადინი ადგა-რა ლოგი-
ნიდგან, გრძნეულიც გამოეცხადა.



– ბატონო, – უთხრა ალადინს, – შენი სასახლე მზათ
არის. ნახე, მოგეწონება?

ალადინმა მოისურვა სასახლის დათვალიერება. გრძნეულ-
მა იგი ერთ წამს გადიყვანა სასახლეში.

ალადინი დიდხანს სინჯავდა სასახლეს. ნახა მისი სალა-
როც, საცა მრავლად იდო ოქრო-ვერცხლის ფული, მისი პა-
ლატნიც, საჯინიბოები და სხ, ერთის სიტყვით დაათვალიერა
მთელი სასახლე და გრძნეულს უთხრა:

– მეტად კმაყოფილი ვარ. ჩემს ნანატრზედ უკეთესია.
ეხლა მხოლოდ ერთი-ღა აკლია და ისიც იმიტომ, რომ დამა-

ვიწყდა და წინათვე ვერ გიბრძანე. ხელმწიფის კარებიდგან მოკიდებული ამ სასახლის იმ განყოფილებამდე, რომელიც დანიშნულია ბადრულბუდურის სადარბაზოდ, უნდა გაფინო მწვანე ფერის მშვენიერი ხალი. ამ ხალზე გამოივლის სეფექალი თავის მამის სასახლიდგან და ამ სასახლეში შემობრძანდება.

– ამავწამს დავბრუნდები, – უპასუხა გრძნეულმა, – და გაჰქრა.

ალადინს მეტად უკვირდა, რომ ყველა მისი სურვილი უცბად სრულდებოდა, ხოლო თვითონ კი არ იცოდა, თუ როგორ ხდებოდა ესა. გრძნელი დაბრუნდა და ალადინი მისივე მამა-პაპეულ სახლში გადიყვანა. ამავე ჟამს გაიღო ხელმწიფის სასახლის კარები.

იმ ადგილას, საცა დღეს ალადინის სასახლე გაჭიმულ იყო, ხელმწიფის სასახლის მეკარეები მუდამ ტიტველა ფოლორცს ხედავდენ. ამიტომაც მეტად გაიკვირეს, როცა ამ ადგილას დარბაზი მოეჩვენათ და როცა დაინახეს ხავერდის ხალი, გადაფენილი ორთავ სასახლეთა შორის. ჯერ კარგად ვერა გაარჩიეს-რა. ხოლო მათი განცვიფრება უფრო გამრავლკეცდა, როდესაც დაწვრილებით გასინჯეს ალადინის უუმშვენიერესი სასახლე. ამისთანა მოულოდნელ სასწაულის ამბავი მალე გავრცელდა მთელს სასახლეში. დიდი ვეზირი, რომელიც იმ დროს მოვიდა, როდესაც სასახლის კარები გაახვეს, სხვებზე უფრო



მეტად გაჰკვირდა. მან აცნობა ხელმწიფესაც იგინი ორნივე ამ სასაწაულისაგამო მთლად გაშტერდნენ. ამ დროს გამოჩნდა ალადინის დედა, მშვენიერად ჩაცმულ მხევლებით. იგი გამოეგზავნა ალადინს წინ-მისაძღოლად და ახალს სასახლეში მისაცილებლად მომავალის მისის მეუღლის სეფექალისა. ალადინის დედა დიდის დიდებითა და მოწყალებით მიიღეს.

ხოლო ალადინიც აღჯდა ტაიჭზე და ისეთისავე დიდებითა და ზეიმით მიბრძანდა სასახლეში, როგორც წინადღეს. სამამა-პაპეულო სახლს რომ სამუდამოდ გამოეთხოვა, თან წაიღო სასწაულთმომქმედი ლამპარიც.

სეფექალი ალადინს მიჰყვება.



ქორწინება იდღესასწაულეს იმავე დღეს ისეთის დიდშვენიერებით, რომლისა - დარი ჯერ არასდროს არ ნახულიყო მთელს ჩინეთში.

პირველი შეხვედრა ახალგაზდა ნეფე-პატარძლისა საუცხოვო იყო. ალადინს თავის თავი სიხარულისაგან აღარ ახსოვდა. მის სახის ყოველ გამომეტყველებასა და ტანის ყოველ მოძრაობაში იხატებოდა მისი უზომო ბედნიერების გრძნობა. სეფექალმა, პირველისავე შეხედვით, იცნო იგი მრავალ ოფიკალთა შორის და ვეღარ მალავდა თავის სიხარულს, რომ ამისთანა მცველ-მფარველი ვიშოვნეო.

ეს დღე საყოველთაო სიხარულის დღე იყო. როდესაც შემოღამდა, ალადინის სასახლე, თითქოს განგების ძალითაო, უცებ განათდა სხვა და სხვა ფერი ცეცხლით და ყურთა დამატკბობელი მუსიკის ხმა გაისმა ყველა ბაღებში.

ვახშამის დროც მოვიდა. ალადინმა სეფექალს ხელი ხელს გაუყარა და მიიყვანა ერთს, მრავალ სანთლებით განათებულ, პალატში, სადაც გრძნეულის მეოხებით გაწყობილი იყო მშვენიერი სუფრა; მასზე დალაგებული იყო ოქროს სინები,

სავსე უგემრიელესის საჭმელებითა; აგრეთვე ლანგრები, ფინჯნები
და თასები მრავლად ეწყო საკუჭნაოში. ყოველი ჭურჭელი
წმინდა ოქროსი იყო და ხელოვნურად ნაკეთები.

სეფექალი ბადრულბუდური, ალადინი და დედა მისი სუ-
ფრას რომ შემოუსხდნენ, გაისმა ნარნარი ხმა საკრავებისა
და ხმა-ტკბილ და ულამაზეს ქალებისა. ეს დაკვრა-სიმღე-
რა ვახშმის გათავებამდის არ შეწყვეტილა.

ვახშმის შემდეგ მესაკრავეთა მაგიერ გამოვიდნენ მოცეკ-
ვავე ქალ-ვაჟნი. იგინი საკვირველის სიმარდით ცეკვაობდნენ.
შუაღამე უკვე მოახლოვებულიყო, ალადინი, მაშინდელ დრო-
ის ჩვეულებისამებრ, ადგა, ჩამოართვა ხელი სეფექალს და სა-
ცეკვაოდ გამოითხოვა. ამით დასრულდა საქორწილო მეჯლი-
სი. იგინი ორთავე ისე მშვენიერად ცეკვაობდნენ, რომ ყვე-



ლანი გაოცდნენ. ცეკვაობის შემდეგ ალადინი და სეფექალი
ხელგაყრილებივე წავიდნენ მათთვის მომზადებულ პალატებში.

მეორე დღეს ალადინს რომ გაეღვიძა და გუშინდელზე
უკეთესად ჩაიცვა, ბრძანა, ჩემი საჯდომი ცხენი მოიმიყვანე-
თო. შებრძანდა ცხენზე და ხელმწიფის სასახლეში მიბრძანდა.
მას თან ახლდა მრავალი მონები. მიბრძანდა-რა სასახლეში,
დიდის მორჩილებით ჰკადრა ხელმწიფეს: დღეს მეწვიეთო და
თან მოიყვანეთ აგრეთვე დიდი ვეზირი და სასახლის წარჩინე-
ბული მოხელეები. ხელმწიფე გადაეხვია მას და დაუყოვნებლივ
ინება დაეკმაყოფილებინა სიძის თხოვნა. რა მოემზადნენ,
ხელმწიფემ ალადინის სასახლის სიახლოვისაგამო ინება
ფეხით მიბრძანება. მეფეს წინ მიუძღოდნენ სასახლის წარჩინე-
ბული კაცები, ხოლო მარჯვენით მიჰყვებოდა ალადინი და მა-
რცხენით დიდი ვეზირი. რაოდენადაც ხელმწიფე უახლოვდე-
ბოდა ალადინის სასახლეს, იმოდენად უფრო და უფრო აღ-
ტაცება ემატებოდა ამ საკვირველ სასახლის სიმშვენიერისგა-
მო. ხოლო რაც იმან იგრძნო შიგ სასახლეში შესვლის შემ-
დეგ, იმას კაცი სიტყვით ვერ გამოსთქვამს. მეფის გაკვირვე-
ბითი ღაღადისს, ყოველი პალატის დათვალიერების დროს, საზ-
ღვარი აღარა ჰქონდა. ხოლო უკანასკნელად რომ შებრძანდა
ოც-და-ოთხ ფანჯრიან პალატში და როცა დაინახა ლალები-
თა, ზურმუხტებითა და ალმასებით მოჭედილი მისი დარაბები,
გაოცებისა და აღტაცებისაგან ადგილასვე გაყუჩდა.

ამ პალატიდგან დაბლა რომ ჩავიდნენ, ალადინმა ახლა
შეიპატიჟა იმ პალატაში, საცა საქორწილო ლხინი გადეხადნა
ბადრულბუდურისთვის. სეფექალმა მამა თვისი, ხელმწიფე, ისე-
თის კმაყოფილებით მიიღო, რომ ეგრძნობებინა, რა ბედნიე-
რი ვარო. ალადინისთანა ქმრის შოვნისაგამო. აქ იყო ორი მა-
გიდა, რომელზედაც ეწყო ოქროს სინები, უგემრიელეს საჭმე
ლებით. ხელმწიფე პირველ მაგიდას შემოუჯდა და თან დაის-
ვა სეფექალი, ასული თვისი, ალადინი და დიდი ვეზირი. და-
ნარჩენი დიდებულები მეორე მაგიდას შემოუსხდნენ. ეს მაგი-

და ფრიად გრძელი იყო. ხელმწიფეს საჭმელები მეტად ეგემ-
რიელა და ბრძანა, რომ ჩემს დღეში ამისთანა ხორაგი არ მი-
ჭამიაო. მაგრამ ყველაზე მეტად აკვირვებდა მას ოთხი საკუჭ-
ნაო, სავსე ოქროს ფინჯნებითა, ლარნაკებითა და თასებით,
რომელნიც ძვირფას ქვებით იყვნენ მოჭედილნი.

ხელმწიფე ხომ იყო აღტაცებული ალადინისაგან და ხალ-
ზსაც ნაკლებად არ უყვარდა იგი. ყოველთვის, როცა კი ალა-
დინი აღმხედრდებოდა და თვის სასახლიდამ ანუ ტაძარში ანუ
ვინმე წარჩინებულ პირთან წასასვლელად გავიდოდა, თვისის
მრავალ რიცხვოვან ამალის ორს მონათაგანს დაავალებდა ხოლ-
მე გზა და გზა ეყარათ ოქრო, ებნიათ ფული გზებსა და
ფოლორცებზე, რომელზედაც მოუხდებოდა გავლა. არც ერთი
საწყალი კაცი მის სასახლის კარებიდამ ხელცარიელი არ და-
ბრუნებულა. ამნაირადვე იქცეოდა ალადინი სანადიროდ წა-
სვლის დროსაც და დიდს სიუხვეს იჩენდა შარა გზებსა და
სოფლებში. ამას გარდა ალადინი ყველას ეპყრობოდა ალერ-
სიანად, უწყინარად და გულკეთილად და ამგვარ ქცევამ მას
მოუპოვა ხალხის სიყვარული; შეიძლება ვსთქვათ ისიც, რომ
ყველანი მის მზეს ფიცულობდნენ.

ბევრმა წელიწადმა გავლო მას აქეთ, რაც ალადინი ამ-
გვარად სცხოვრობდა და იშვებდა და სამართლიანადაც იგი
ღირსი იყო ამის ყოვლისა. ამასობაში თვალთმაქცს, რომელმაც
ასრეთი ბედნიერება, თავის და უნებურად, მიანიჭა ალადინს –
თუმცა-ღა თვითონ უნდოდა ამ ხარისხისა და სიმდიდრის მო-
პოება მოაგონდა ალადინი. მაშინ იგი აფრიკაში იყო. თუმ-
ცა დარწმუნებული იყო, რომ აქამდის ალადინი დაიღუპებოდა
მღვიმეშიო, მაგრამ მაინც აზრად გაივლო, მოდი ერთი ბეჯი-
თად გამოვიწვლილო, თუ რა მოუვიდა ალადინსო. იმან მიჰ-
მართა ჯადოქრობას, რომელიც ზედმიწევნით იცოდა და შე-
იტყო, რომ ალადინი არა თუ არ დაღუპულა, არამედ დედა-
მიწის პირზე სცხოვრობს, აქვს დიდი სიმდიდრე, დიდს პატივ-
დებაშია და ცოლად ჰყავს სეფექალი, ასული ხელმწიფისა.



შეიტყო რა ყოველივე ესა თავის ჯადოქრობით, სიბრა-
ზისაგან აენთო.

– ეს უღირსი მკერვლის შვილი, – წამოიძახა მან, – მიმხვდა-
რა, თუ რა ძალა ჰქონია ლამპარს. მე კი მეგონა, რომ იგი
უკვე დაიღუპაო. რასა ვხედავ ახლა! იგი სტკბება ჩემის შრო-
მისა და უძილოდ გატარებულ ღამეების ნაყოფით. მე თავს
მოვიკლავ და იმას კი არ ვახარებ!

მეორე დღესვე დილა ადრიან შეჯდა ცხენზე და ჩინეთს
მიაშურა. გავლო ქალაქით ქალაქი, მაზრით მაზრა. გზაზედ ის-
ვენებდა მხოლოდ თავის ჯაგლაგის მოსაალაფებლად. ამნაირად
მივიდა ჩინეთში და მერე მალე დროში სატახტო ქალაქშიაც
ხელმწიფისა, რომლის ასული ცოლად შეერთო ალადინს.

მისვლისავე უმალ, უწინარეს ყოვლისა, აფრიკელ თვალ-
მაქცმა მოინდომა შეეტყო, რას ლაპარაკობდნენ. ალადინის შე-
სახებ. ამ აზრით იგი შევიდა იმისთანა ადგილას, საცა იკრი-
ბებოდა მოწინავე საზოგადოება ჩაის სასმელად. მალე მის
ყურს – მარჯვენითაცა და მარცხენითაც – მიესმა ლაპარაკი შე-
სახებ ალადინის სასახლისა. თვალთმაქცმა გააბა საუბარი თვის
ახლო მჯდომ პირთან, რომელსაც უთხრა, რომ ეხლახანს მო-
ვედი აფრიკიდგანაო, მესმოდაო. ქება ალადინის სასახლისა და
ახლა, როგორც უცხო ქვეყნელს, მსურს მისი დათვალიერებაო.

იმ პირმა, რომელსაც მიჰმართა თვალთმაქცმა, დიდის სია-
მოვნებით ასწავლა ალადინის სასახლის გზა და თავალმაქცი
წამოდგა და იმავწამს წავიდა. მიუახლოვდა-რა სასახლეს, კარ-
გად დაათვალიერა იგი ყოვლის მხრით და დარწმუნდა, რომ
ამ სასახლის აშენება სასწაულთმომქმედ ლამპრის უნარი უნდა
ყოფილიყო.

ახლა საჭირო იყო შეეტყო, სად ინახებოდა ლამპარი,
ალადინს თან დაჰქონდა, თუ სხვაგან სადმე ინახავდა. ყოვე-
ლივე ეს თვალთმაქცმა შეიტყო თავის ჯადოქრობით. მისის
გამოკვლევით, ლამპარი ახლა ალადინის სასახლეში უნდა ყო-



ფილიყო, ხოლო თვითონ. ალადინი კი ერთის კვირის ვადით
სანადიროთ წასული,

– აი, კაი შემთხვევა, გაიფიქრა მან; ეს შემთხვევა მე არ
უნდა დავკარგო. ლამპარი მალე ჩემი იქნება.

იგი მივიდა ლამპრის მკეთებლის საქულბაქეში, იყიდა
თორმეტიოდე ლამპარი, ჩააწყო კალათაში, რომელიც ამ შემ-
თხვევისათვის განგებ იშოვა, და დაუყოვნებლივ, კალათით
ხელში, გასწია ალადინის სასახლისკენ და მორთო. ძახილი:

– არავისა გნებავსთ ძველი ლამპარი ახალზე გამოსცვალოთ.

ამ უცნაურმა ხმამ საზოგადო ყურადღება მიიპყრო და
მსმენელნი გააკვირვა. რაოდენიც წინ მიდიოდა, ქუჩებში მოთა-
მაშე ბიჭები, უცნაურ ხმის გაგონებაზე, მის გარეშემო გროვ-
დებოდნენ და ჟრიამული გაჰქონდათ, რადგან იგი სულელი
ეგონათ. თვალთმაქცი კი ყურადღებას არ აქცევდა მათ და
თავისას გაიძახოდა:

– არავისა გნებავსთ ძველი ლამპარი ახალზე გამოსცვალოთ!

იმდენი იყვირა ერთი და იგივე, იმდენი იარა წინ-უკან
წინაშე სასახლისა და მის გარეშემო, რომ ბადრულბუდურმა,
რომელიც ოც-და-ოთხ ფანჯრიან პალატში ბრძანდებოდა, მო-
ინდომა შეეტყო, რას ყვიროდა იგი კაცი, რომლის ხმა, ბავ-
შვების ჟრიამულისაგამო, ყრუდ მოესმოდა, მან გაგზავნა ერთი
მხევალთაგანი შეეტყო მიზეზი ხმაურობისა. მხევალი ხარხარით
შემოიქცა პალატში და სეფექალს მოახსენა, რომ ვიღაც კაცი
ახალს ლამპრებს ძველებზე სცვლისო.

– არ ვიცი, თქვენო უმაღლესობავ, – განაგრძო ამ მხევალ-
მა, შეგინიშნავთ თუ არა ის ლამპარი, რომელიც აგერ ლავ-
გარდანზედ დევს. ვისაც იგი ეკუთვნის, მგონი, არ გაჯავრდე-

ბა მის ალაგას ახალს რომ დაინახავს. თუ სეფექალი ინებებს, ახლავე დარწმუნდება, იგი კაცი მართლა ისეთი სულელია, რომ თავის ახალს ლამპრებს ძველებზე სცვლის!

ლამპარი, რომლის შესახებ ლაპარაკობდა მხევალი, ის ლამპარი იყო, რომელიც, სანადიროთ წასვლის წინათ, ალადინმა





ლავგარდანზედ დასდო. ალადინს იგი ჩვეულებრივ თან დაჰქონდა ხოლმე და მხოლოდ ამ შემთხვევაში შინ დასტოვა და დასდო იმისთანა ადგილას, სადაც, როგორც ფიქრობდა, ვერავინ შეამჩნევდა. ხოლო თან არ წაიღო მისთვის, რომ ეშინოდა, ვაი თუ რამე შევამთხვიოო ნადირობის დროს, როცა მომიხდება გახდომ-გამოხდომა და დამჭირდება სისწრაფეო.

ბადრულბუდური, რომელსაც ლამპრის საიდუმლო ძალა არა ჰქონდა შეტყობილი, სამწუხაროდ, დაეთანხმა მხევლის რჩევას და ერთს შინაყმას უბრძანა წაეღო ლამპარი და ახალზე გამოეცვალა. შინაყმამ წაიღო. დანახვისავე უმალ თვალთმაქცი მიჰხვდა, რომ ეს იყო სწორედ ის ლამპარი, რომელსაც ეძებდა. წარმოუდგენელი იყო, რომ ამისთანა ლამპარი სხვაც ყოფილიყო სასახლეში, რადგან იქ ყველა ჭურჭელი ვერცხლისა და ოქროსი იყო, ხოლო ეს ლამპარი კი სპილენძისა. თვალთმაქცმა სიჩქარით გამოართო, უბეში ჩაიდო და მის მაგიერ სრულიად ახალი მისცა.

ლამპრის გაცვლის დროს აქ მრავალი ბიჭ-ბუჭობა და გამვლელ-გამომვლელი იყო. იგინი ყვიროდნენ და ხარხარობ- - დნენ. ხოლო აფრიკელ თვალთმაქცს, ნაშოვრით გახარებულს, მათი დარდი არა ჰქონდა და მათს ყვირილს ყურადღებას არ აქცევდა. იგი ნელ-ნელა განშორდა ამ ადგილს და მიმავლობისას აღარც იძახოდა ახალს ლამპრებს. ძველებზე ვცვლიო..

ორივე სასახლის შუა მდებარე ფოლორცი გავლო და გავიდა მისთანა ქუჩებში, საცა ხალხის მოგზაურობა ნაკლებად იყო, ასე მიაწია ქალაქის კარებამდე. გავლო-რა კარები, ახლა დაადგა ქალაქის წინაუბნის გზას და მინდორში გავიდა. აქ მოძებნა განმარტოებული ადგილი და დაბინდებას დაუცადა. როცა კუკუმათმა მოიცვა არემარე, უბიდგან ამოიღო ძვირფასი ლამპარი და გახეხა. მის გამოხმობაზე უცბად გამოჩნდა გრძნეული.

– რა გნებავს? მზათა ვარ გემსახურო, როგორც შენი ტყვე და



ტუვე ყველა მათი, რომელთაც ხელში უპურიათ ეგ ლამპარი, – მზათა ვართ გემსახუროთ მეცა და ყველა სხვა ტყვეებიც მაგ. ლამპრისა.

– გიბრძანებ, – მიუგო აფრიკელ თვალთმაქცმა, – ასწიო შენ-მიერ ანუ სხვა ტყვეთა-მიერ ამ ქალაქში აშენებული სასახლე და იმ სახითვე, როგორც ეხლაა, და მასში მცხოვრებ მდგმურებითურთ გადიტანო აფრიკის ამა და ამ ადგილას და

თანაც მეც წამიტანო.

გრძნეული ხმა ამოუღებლივ შეუდგა მისდამი წინადადებულ ბრძანების შესრულებას და რამდენიმე წამის განმავლობაში თვალთმაქცი ცა და სასახლეც მდგმურებითურთ გადიტანა. აფრიკის იმ ადგილას, რომელიც ანიშნა თვალთმაქცმა.

ალადინის ქორწილის შემდეგ ხელმწიფეს ჩვეულებად შეექმნა ალადინის სასახლის დათვალიერება. დილაობით ლოგინიდგან რომ აბრძანდებოდა, შევიდოდა ხოლმე თავის სამეცადინეო პალატში, საიდგანაც კარგად სჩანდა სიძის სასახლე, და აქედგან სტკბებოდა მისის ცქერით. ახლაც, სასახლის მოტაცების მეორე დღეს, ისევ, ჩვეულებისამებრ, გადახედა იმ ადგილს, საცა სასახლე ეგულებოდა, მაგრამ სასახლის მაგიერ მარტოღა ცარიელი ადგილი მოეჩვენა. ჯერ არ ეჯერებოდა მას, ალბად ვსტყუვდებიო, ფიქრობდა. თუმცა მოკრიალებული დილა იყო და ცაც უღრუბლო, მაგრამ მაინც თვალებიც მოიფშვნიტა, რომ კარგად გაერჩია. ხოლო ამის შემდეგაც ისევ ცარიელი ადგილი წარმოუდგა თვალწინ.

– აღარ ვსცთები, – აბობდა იგი, – სასახლე სწორეთ ამ ადგილას იდგა. თუ დაიქცა, ნამუსრევი მაინც გამოჩნდებოდა, თუ მიწამ ჩაყლაპა, რამე კვალი მაინც დაეტყობოდა ამ ალაგს.

ბრძანა, რაც შეიძლება სწრაფად მომიხმეთ დიდი ვეზირიო. როცა ვეზირი გამოეცხადა, ხელმწიფემ ჰკითხა:

– მითხარი, თვალები ხომ არ დამბრმავებია? სად არის ალადინის სასახლე?

– მართლაცა და, თქვენო უდიდებულესობავ, მეც ვერა



ვხედავ სასახლეს, – უპასუხა დიდ ვეზირმა. – წინათვე ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან, ასე უნდა მომხდარიყო. (ამ სიტყვებს ვეზირი უფრო იმიტომ ამბობდა, რომ ალადინის ჯავრი სჭირდა, რადგან იგი მეტოქედ გაუხდა მის შვილს). თქვენო დიდებულებავ, – განაგრძო მან, – ალბად გახსოვთ, მე უკვე პატივი მქონდა მომეხსენებინა თქვენთვის, რომ სასახლე, რომელიც თქვენ გაოცებდათ, ჯადოქრობისა და ანუ ჯადოქრის საქმე არისო. მაგრამ თქვენს დიდებულებას არა სჯეროდა ჩემი სიტყვა.

საქმე ცხადი იყო და დიდი ვეზირის სიტყვა სარწმუნოდ მისაჩნევი შეიქმნა. მეფე, გულნატკენი მით, რომ ასრე მწარედ მოსტყუვდა, საზარლად გარისხდა.

– სადაა იგი მატყუარა, ბოროტმოქმედი, იგი წყეული თვალთმაქცი? – რიალებდა განძვინებული ხელმწიფე. – მომგვარეთ იგი, რომ თავი გავაგდებინო! ოც-და-ათი მხედარი, თავით ფეხამდე შეიარაღებული, ეხლავ წავიდეს მოსძებნოს იგი, შეიპყრას და წარმომიდგინოს ცოცხალი ანუ მკვდარი?

დასტა ცხენოსანთა იმავწამს გაეშურა და ალადინს შეეფეთა ხუთისა თუ ექვსის აღაჯის მანძილზე ქალაქიდგან.. ალა-

დინი ნადირობიდგან შინ მოდიოდა და ამ საქმის შესახებ არა-
ფერი იცოდა და გულარხეიანად იყო დასტის წინამძღოლი
ოფიკალი მიუახლოვდა ალადინს და მოახსენა:

– სეფეწულო, იძულებული ვარ დიდის მწუხარებით გა-
მოგიცხადო ხელმწიფის ბრძანება, რომლის ძალით ეხლავე
უნდა შეგიპყრათ და, ვითარცა სახელმწიფოს მოღალატე, მი-
გიყვანოთ მის წინაშე.

ამისთანა განცხადებამ ძრიელ გააკვირა ალადინი, რად-
გან თავისი თავი მართალი ეგონა. ოფიკალს ჰკითხა, არ იცი,
რა დანაშაულობას მწამებენო. მან უპასუხა, რომ არც მე და
არც ჩემმა ხელქვეითებმა სრულიად არა ვიცით-რაო.



– ხელმწიფის ბრძანებანი საღმრთონი არიან, – ბრძანა ალა-
დინმა, – აღასრულეთ იგინი, მე მზათა ვარ დაგემორჩილოთ.

ბორკილები გაუყარეს ხელფეხში და ამგვარ სამწუხარო
სახით გაატარეს ქალაქში, მოქალაქეთა თვალწინ. მისი მხილ-
ველი ხალხი ტიროდა, რადგან ალადინს უზომოდ შეეყვა-
რებინა თავი თვისი და მთელი ერიც პატივსცემდა მას.

ხელმწიფე, დიდი ვეზირის თანადასწრებით, ალადინს მო-
ელოდა სამსჯავროს პალატში. ალადინმა ფეხი შემოსდგა თუ
არა, მეფემ ჯალათს უბრძანა თავი მოჰკვეთეო, მე არა მსურს
არც მაგისი მოსმენაო და არც მაგისი მხილებაო.

ჯალათი სწვდა ალადინს და უთხრა მუხლებზე დაემხეო.
მერე თვალები აუკრა, მახვილი იძრო და სამ გზის ჰაერში მო-
იქნია, რომ ბოლოს ხერხიანად მოერტყა. შემდეგ ამისა შეჩერ-
და და, ჩვეულებისამებრ, დაუწყო ლოდინი ხელმწიფის უკა-
ნასკნელ სიტყვას.

ამდროს ხალხი, რომელსაც წინათვე ენახა შებორკილებული
ალადინი და მიმხვდარიყო, თუ რისთვისაც მიჰყვანდათ იგი სა-
სახლეში, მაღლა ხმით ყვიროდა და ევედრებოდა ხელმწიფეს,
შეიწყალე ეგ უბედურიო.

– პატიება ალადინსო, ჰქუხდა ათასი ხმა.

ეს ხმა, – ნიშანი ერის სიყვარულისა ალადინისადმი, – მი-
ესმა ხელმწიფეს. გული ამოუჯდა სიბრალულით და იმავწამს
ჯალათს უმრძანა მახვილი ქარქაშსავე მისსა მიაქციეო, ხოლო
აკრული თვალები შეუხსენ და გაათავისუფლე. ალადინიო. ამას
გარდა საერო მყვირალსაც დაავალა, ყოველ კუნჭულს იყივლე
და ყველას შეატყობინე, რომ ხელმწიფემ ალადინს სიცოცხლე
მიანიჭაო.

ხალხის ყრილობაც დაიშალა. ერს უხაროდა, რომ სიცო-
ცხლე მიენიჭა კაცს, რომელიც ძრიელ უყვარდა.

ალადინი, გადარჩა-რა ამგვარ ხიფათს, არც კი ჰფიქრობ-
და ესარგებლნა თვისის თავისუფლებით. უწინარეს ყოვლისა



მან ითხოვა ხელმწიფისაგან აეხსნა მისთვის, თუ რა იყო მისი

დანაშაული.

– შენი დანაშაული, უბედურო! განა შენ თვითონ ვერა ჰხედავ? აბა შეიხედე? —სიბრაზით წარმოსთქვა მეფემ და მიუთითა იმ ადგილისკენ, საცა უნდა ყოფილიყო ალადინის სასახლე. – შეიხედე და სთქვი, რა მოუვიდა შენს სასახლეს?

– ვხედავ, რომ გამქრალა და ვერც კი გეტყვით, თქვენო დიდებულებავ, სად არის ახლა. მაგრამ გარწმუნებთ, ამ საქმეში მე მონაწილეობა არა მაქვს.

– მე იმაზედ არა ვნაღვლობ, თუ რა მოუვიდა შენს სასახლეს, მადარდებს მხოლოდ ჩემი ასული, ჩემი საყვარელი შვილი, რომელიც მილიონჯერ მეტი მიღირს, ვიდრე დედამიწის ყველა სასახლეები. წინადაგიდებ, ასული ჩემი უთუოდ მიპოვნო, თუ არა გსურს, რომ მოგეკვეთოს ეგ თავი.

ალადინი ევედრებოდა ხელმწიფეს, ოთხის დღის ვადა დამინიშნე და ამ ხნის განმავლობაში თუ სეფექალის კვალს ვერ მივაგენ, მე თვითონვე წარვსდგები წინაშე ტახტისა და მაშინ თავი მომჭერითო.

– მიმიღია შენი თხოვნა, – უპასუხა ხელმწიფემ, – ხოლო იცოდე კი, დედამიწის რომელ კუთხესაც უნდა გადიჩქმალო, მე მაინც გიპოვნი და მაშინ აღარავის თხოვნას აღარ შევიწყნარებ და დაიღუპებიო.

ალადინი, დამცირებული და ღირსი სიბრალულისა, განშორდა. თავდაღუნული მიდიოდა, სასახლის ეზოებს შორდებოდა, ხოლო ოფიკალები, რომელთაც წინათ ალადინი ჰშველოდა, ნუგეშისცემისა და ანუ თავისთან დავანების მაგიერ ზურგს უქცევდნენ მას.

ამ აუტანელ მდგომარეობამ კინაღამ შეშალა ალადინი. მან თვითონაც აღარ იცოდა, რასა შვრებოდა. კარი და კარ დადიოდა და ყოველს შეხვედრილ კაცს ეკითხებოდა, ხომ არ გინახავთ ჩემი სასახლეო, ხომ არა გაგიგონიათ რა მის შესახებო.

ამგვარ კითხვებისაგამო ბევრს კიდეც სჯეროდა, რომ ალა-



დინი ჭკუაზე შეიშალაო და უმეტესობას ძრიელ ებრალებოდა იგი.

აქა-იქ წყდომაში ალადინმა სამი დღე გაატარა. ამ დროს მისი საჭმელი მხოლოდ ის იყო, რასაც, სიბრალულისაგამო, აწვდიდნენ მოქალაქენი. ბოლოს ასრეთი თვისი ყოფა სამარცხვინოდ მიიჩნია და ქალაქს გაეცალა. ბევრი დაბა-სოფლები გავლო და მივიდა ერთ მდინარის პირას. საშინელი აზრი დაებადა... განა მართლაც მისთვის ყველაფერი კვალწმინდათ დაკარგული არ იყო? ...განა ულამპროთ-ღა შეიძლებოდა რიგიანი პასუხი მიეტანა ხელმწიფისთვის? ამისთანა მწვავე ფიქრებმა აიძულეს იგი მოესპო თვისი სიცოცხლე, მდინარესთვის მიეცა თავი თვისი. ვიდრე ამას შეასრულებდა, თავის მოვალეობად შერაცხა უკანასკნელად აღევლინა ვედრება ზენაარი სადმი. ამიტომაც იგი მიუახლოვდა წყლის ნაპირს, რომ განებანა ტანი, ესე იგი მაჰმადიანთა ჩვეულებისამებრ ლოცვის

წინად დაებანა ხელფეხი. მაგრამ ნაპირი ძრიელ დაქანებული
და ლიპი იყო, რისგამო იგი წაბარბაცდა და უთუოთ წყალ-
ში ჩავარდებოდა, თუ იქვე აყუდებულ პატარა კლდეს არ მოს-
ჭიდებოდა. ბედი ალადინისა, რომ თითზე შერჩენოდა ის ბე-
ჭედი, რომელიც აფრიკელ თვალთმაქცისაგან თითზე გაკეთე-
ბული ჰქონდა სასწაულთმომქმედ ლამპრის ამოსაღებად მღვი-
მეში ჩასვლის დროს. ეს ბეჭედი მეტად მაგრა გაიხეხა, რო-
ცა ალადინი კლდეს მოეჭიდა. იმავწამს გამოეცხადა ისევ ის
გრძნეული, რომელიც მას მოვლენოდა მღვიმეში, საცა აფრი-
კელ თვალთმაქცმა დასაღუპად დასტოვა.

– რა გნებავს? – კითხა მან ალადინს. – მზათა ვარ გემსახურო,
როგორც შენი ტევე და ტუვე უველა მათი, რომელთაც თითზე გა-
კეთებული აქვთ ეგ ბეჭედი, – გემსახუროთ მეცა და უკელა სხვა
ტუკეებიც მაგ ბეჭდისა.

ძრიელ ეუცხოვა ალადინს, როცა ამგვარ აუტანელ მწუ-
ხარების დროს მოევლინა გრძნეული. ალადინმა უთხრა:

– გრძნეულო, მეორედ იხსნი ჩემს სიცოცხლეს გან-



საცდელისაგან, თუ მიჩვენებ ჩემი სასახლის ადგილ-მდებარეო-
ბას და ანუ თუ დაუყოვნებლივ გადმოიტან მას და დასდგამ
იქვე, საცა აქნობამდის იდგა.

– რასაც შენ ითხოვ, იმას ჩემი ძალა ვერ შესწვდება,
რადგან მე მხოლოდ ტყვე ვარ - ბეჭდისა. მიჰმართე ლამპრის
ტყვეს.

– მაშ თუ ეგრეა, ბეჭდის ძალით გიბრძანებ, ახლავე გა-
დამიყვანო იმ ადგილას, საცა ჩემი სასახლეა და დამაჯდინო
ბადრულბუდურის ფანჯრის წინ.

ჯერ არც კი დაესრულებინა სიტყვა, რომ გრძნეულმა
ალადინი გადიყვანა აფრიკის იმ ადგილას, საცა, ერთ მინდვრის შუა
გულს, რომელიღაც ქალაქის შორიახლოს, იდგა სასახლე,
გრძნეულმა ალადინი სეფექალის ფანჯრის წინ ჩამოიყვანა და
თვითონ უჩინარი შეიქმნა.

ყოველივე ეს ერთს წამზედაც უმალეს შესრულდა.

თუმცა ღამე იყო და ბნელოდა, მაგრამ მაინც ალადინმა
იცნა თავისი სასახლე. და რადგან ნაგვიანევი დრო იყო და
არცა სძინებოდა ხუთი-ექვსი დღის განმავლობაში, დაწვა ხის
ქვეშ და, მეორე დღის მოლოდინში, ღრმად მიეძინა.

მეორე დღეს, დილის ცისკარმა რომ ამოაშუქა, ალადი-
ნიც ფრინველების საამურმა გალობამ გამოაღვიძა. გაახილა
თვალები და დაინახა მშვენიერი სასახლე, რომელშიაც და-
მწყვდეული იყო მისი საყვარელი მეუღლე.

ალადინი უცხო ცის ქვეშ იყო, გარემოცული უცნობ
საგნებით. იგი ამაოდ სცდილობდა გამოეცნო, თუ ვინ უნდა
ყოფილიყო. ის არსება, რომელსაც შეშურდა მისი ბედნიერება
და რომელსაც ჰქონდა ისრეთი ძლიერება, რომ მას მოუსპო
ყოველი კეთილი. ბოლოს ალადინი მიუახლოვდა სასახლეს და
მის ფანჯრებ-წინ ბოლთის ცემა იწყო, რათა შეეტყო სასა-

ხლის შინაგანი ვითარება.

სეფექალი ბადრულბუდური. მის შემდეგ, რაც იგი მოიტაცა აფრიკელ თვალთმაქცმა და აფრიკაში თავი ამოაყოფი-



ნა, დილით, ჩვეულებრივზე ადრე, იღვიძებდა. იგი თვალთმაქცს, ვითარცა სასახლის ბატონს, დღეში ერთხელ ინახულებდა ხოლმე. სეფექალი ყოველთვის მას უხვდებოდა შუბლშეკრული. ამიტომაც თვალთმაქცი აქ ცხოვრებას ერიდებოდა. ის იყო სეფექალი ემზადებიდა ტანთჩაეცვა, რომ ერთმა მხევალმა ფანჯრიდამ გადიხედა, თკალი მოჰკრა ალადინს, გაკვირვებით დაიწივლა და ალადინი დაასახელა. სეფექალმაც მიირბინა ფანჯარასთან, გააღო იგი და თავის ქმარს მიესალამა. ალადინმა იცნო ბადრულბუდური და, რადგან მაღლა ხმით ლაპარაკი საშიში იყო, ხელით ანიშნა მას თვისი სიხარული.

– საყვარელო მეუღლევ, – დაბალი ხმით გამოელაპარაკა სეფექალი, – ამავეწამს გაგიღებენ საიდუმლო კარს და იქიდგან შემოდი.

წარმოსთქვა-რა ეს სიტყვები, ფანჯარა მიიხურა, რადგან ეშინოდა, არ დამინახონო. საიდუმლო კარები სეფექალის ოთახის ქვეშ იყო. გაუღეს ეს კარები და ალადინი თავის საყვარელ მეუღლესთან ავიდა. ვერც-კი წარმოიდგენს კაცი, თუ დიდიხნის უნახაობის შემდეგ, როგორი სიხარული იგრძნეს ორთავემ, მით უმეტეს, რომ ერთმანეთი საუკუნოდ დაკარგულები ეგონათ. ერთმანეთის ტკბილად გადაკოცნისა და მოხვევნის შემდეგ, ალადინმა ჰკითხა:

– უწინარეს ყოვლისა, სეფექალო, გევედრები, მითხარ, რა იქნა ის სპილენძის ლამპარი, რომელიც, სანადიროთ წასვლის წინათ, დამედგა ლავგარდანზე, პალატში.

სეფექალმა უამბო თავგარდასავალი ძველის ლამპრისა, რომელიც ახალზე გასცვალეს. მერე უთხრა აგრეთვე, რომ ქვეყანა, საცა ახლა ჩვენ ვიმყოფებით, აფრიკა არისო.

ამ უკანასკნელმა სიტყვამ ალადინს ყოველივე მიახვედრა. ეჭვი აღარ იყო, რომ ყოველი უბედურება თავს დასტყდომოდა კაცთა შორის ყველაზე უცბიერესის, აფრიკელ თვალთმაქცის



მეოხებით; განგრძობილმა საუბარმა მისი მოაზრება ამ საგნის შესახებ უფრო განამტკიცა.

– ახლა ესეც მითხარ, – განაგრძო ალადინმა, – ხომ არ შეგინიშნავს, თვალთმაქცს ლამპარი ყოველთვის თან დააქვს, თუ არა?

– მგონი, ახლაც აქ დაუტოვებია, – მიუგო სეფექალმა და მიუთითა ლამპარზე.

ალადინი სწვდა ლამპარს და, სიხარულით აღტაცებულმა კოცნა დაუწყო და გულზე მიიკრა და მერე გახეხა, რომ

შეეტყო, იყო თუ არა იგი სწორედ მისი ცნობილი ლამპარი. უცებ მოევლინა გრძნეული და ჰკითხა, რა გნებავსო.

– მსურს აფრიკელი თვალთმაქცი მგელ-კაცად აქციო, ხოლო ისე კი, რომ არა ჰქონდეს არც კბილები და არც ბრჭყალები, რათა ცხოველ არსებათ ვერა ავნოს-რა და ბრაზ-მორეული იტანჯებოდეს და თავისი სიცოფე ვერავისზე ვერ ამოიყაროს.

გრძნეული გაჰქრა და წამსვე ისევ დაბრუნდა და მოიტა-ნა სასწაულთმომქმედი მტვერი, რომელსაც ალადინი ჩაჰყრიდა-რა ღვინით სავსე ჯამში და ამ მოწამლულ ღვინოს შეასმევდა თვალთმაქცს, სურვილი აღუსრულდებოდა.

მიიღო-რა ალადინმა ეს მტვერი, სეფექალს მოახსენა:

– საყვარელო სეფექალო, თუ გსურს თავი იხსნა მტრი-საგან, საჭიროა დააძალადო შენს თავს და მოფერებით მოექცე თვალთმაქცს ჩემი განძრახვის აღსასრულებლად საჭიროა უკეთესის ტანისამოსით მოირთო. ახლავე და როცა თვალთ-მაქცი მოვა, ალერსიანადა და მოსიყვარულედ დაუხვდე; მო-ახსენე, მნებავს-თქო დავივიწყო ალადინი; და რომ უფრო და-იჯეროს შენი გულწრფელობა, იწვიე შენთან სავახშმოდ. იმა-ვე დროს გამოუცხადე, რომ მსურს-თქო შენთან ერთად დავ-ლიო ამ ქვეყნის საუკეთესო ღვინო. როდესაც იგი ღვინის სა-ყიდლად წავა, მის მოსვლამდის ერთ-ერთ დოსტაქანში, რომ-ლითაც ჩვეულებრივ სვამ ღვინოს, ჩაყარე. აი ეს მტვერი, მერე



დოსტაქანი ცალკე შეანახვინე და მხევალი შენი მეწდე გა-აფრთხილე დოსტაქნები არ შესცვალოს. როცა თვალთმაქცი დაბრუნდება, იწვიე სუფრაზე სავახშმოდ და მერე მოატანინე მტვერ შერეული ღვინო დ ალერსიანად მოახსენედოსტაქნები შევ-ცვალოთ-თქო. შენს ალერსიანს ქცევას იგი დიდ წყალობად მი-ითვლის დ დოსტაქნების შეცვლაზე, უეჭველია, უარს არ გეტყვის. იგი გადაყლურქავს ღვინოს მთლათ და იმავწამს მგელ-კაცად იქცევა.

დარიგების შემდეგ ალადინი ნაღვლიანად გამოეთხოვა სე-ფექალს და წავიდა.

სეფექალმა ბადრულბუდურმა დაუყოვნებლივ აღასრულა ალადინის რჩევა მშვენიერად მოირთო და როცა მასთან თვალთმაქცი შემოვიდა, მიიღო. იგი ისეთის დიდებითა და ნარ-ნარებით, რომ თვალთმაქცი განცვიფრდა.

ყოველ ბოროტ კაცს თან-დაყოლილი აქვს სიამპარტავ-ნეცა. ასეთი იყო თვალთმაქცი ც. ქალის მეგობრული ქცევა ტრფიალების დასაწყისად მიითვალა და დიდის სიხარულით დასთანხმდა მის თხოვნაზე, და არა თუ აღუთქვა მასთან ვახ-შმად დარჩენა, არამედ იგი თვითონვე იწვევდა ქალს და ჰპირ-დებოდა უამეს ღვინით გამასპინძლებას. თვალთმაქცი ღვინის საყიდლად წავიდა. დაწყობილება სასურველად იჩარხებოდა. როდესაც იგი დაბრუნდა, სუფრას შემოუსხდნენ. რამდენიმე ლუკმის მირთმევის შემდეგ, სეფექალმა მოითხოვა ღვინო, თვალთ-

მაქცის სადღერგძელო დალია და მერე მოახსენა:

– ჭეშმარიტად მშვენიერი ღვინოა, ამისთანა ჩემს დღეში არ დამილევია.

– მშვენიერია, – მიუგო თვალთმაქცმა. – ჩემი ღვინო უფრო უკეთესდება შენის ქებისაგამო,

ჭამა-სმა განაგრძეს. თვალთმაქცს აღტაცება თანდათან ემატებოდა. მას ეგონა, ჩემი ქცევა დიდად ასიამოვნებს სეფექალსო. იგი ყოველნაირად აგრძნობინებდა ქალს, რომ უზომოდ გახარებული ვარო.



ამისთანა ორჭოფა ყოფამ ბოლოს სეფექალი მოღალა. მტვერ შერეული დოსტაქანი მოატანინა და მისთავაზა თვალთმაქცს ამ სიტყვებით:

– რომ უფრო მეტად დამიმტკიცო შენი სიყვარული, ჩემი სადღერგძელო. ჩემისავე დოსტაქნით მიირთვი, ხოლო მეც შენს სადღერგძელოს შენის დოსტაქნით დავლევო.

თვალთმაქცმა დიდის მადლობით მიიღო ეს ახალი მოწყალებაც და აღტაცებულმა ისეთის სისწრაფით გადაშუშხა სამსალა, რომ დოსტაქანში ერთი წვეთიც აღარ დარჩა.

იმავწამს იგი მგელ-კაცად იქცა. თვალები დააბრიალა და ბალანი აებურძგნა, ხოლო ღონე კი არა ჰქონდა, რომ ჯავრი ამოეყარა. მან აქეთ-იქით მიწყდომ-მოწყდომა იწყო, რომ გარეთ გავარდნილიყო. გაუღეს კარები, მგელ-კაცა კუდ-ამოძუებული გაძვრა და გადიკარგა

ალადინი სასახლეში შემოვიდა იმ დროს, როდესაც სეფექალი და თვალთმაქცი ჯერ ისევ ვახშმობდნენ. შემოვიდა და უჩინარ ადგილას დაიმალა. იგი ელოდა თვისის განზრახვის დასასრულს, რომ მერე შესულიყო პალატში. ალადინმა მეუღლეს მიულოცა, რომ იგი განთავისუფლდა ბოროტ თვალთმაქცისაგან, მერე აიღო ლამპარი, რომლის სასწაულთმომქმედი ძალა არ დაუმალა სეფექალს. ერთად რომ დარჩნენ, ალადინმა თავის მეუღლეს განუმარტა მისნური თვისება ლამპრისა და შემდეგ გახეხა იგი.

მოევლინა გრძნეული.

– გრძნეულო, – უთხრა მას ალადინმა, – ამ ლამპრის, შენის მბრძანებელის, სახელით გიბრძანებ ამავე წამს ეს სასახლე გადიტანო და დაადგინო იმავე ადგილას, საიდგანაც მოგიგლეჯია.

გრძნეულმა თავდახრით ანიშნა, – მზათა ვარ. დაგემორჩილოო და გაჰქრა.

სასახლის გადატანა მათ იგრძნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სასახლე ადგილიდგან მოიგლიჯა და როდე-



საც იგი ჩინეთში, ხელმწიფის სასახლის პირდაპირ, წინანდელსავე ადგილას, მომაგრდა. ყოველივე ეს მოკლე დროს

მოჰხდა.

ალადინის სასახლისა და ბადრულბუდურის მოტაცების შემდეგ ხელმწიფე უნუგეშო მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი, რადგან თვისი ასული საუკუნოდ დაკარგული ეგონა. ყოველ დღე მიუჯდებოდა ხოლმე იმ ფანჯარას, რომლიდგანაც წინად უყვარდა ალადინის სასახლის ცქერა და ცარიელი ადგილის დანახვაზე მდუღარე ცრემლი სკდებოდა თვალთაგან. ხოლო ამ უკანსკნელ დღეს კი მისი მწუხარება კვლავინდელზე უზომო შეიქმნა. მწუხარე მეფემ გადიხედა ფანჯრიდამ და ვერა შეამჩნია-რა. მერე კიდე მოისურვა უკანასკნელად შეეხედნა, თვალი გაუშტერა იქაურობას და ცარიელი ადგილი ვეღარ დაინახა, იფიქრა, ამის მიზეზი ნისლ-ბურუსი თუაო. უფრო და უფრო დააშტერდა და დარწმუნდა, რომ მართლა ალადინის სასახლეს ხედავდა. ნაღველი და დარდი უცებ სიხარულად შეეცვალა. ფეხ-აჩქარებით შებრძანდა პალატებში, ცხენის შეკაზმა ბრძანა და რომ ყოველივე მოუმზადეს, აღჯდა და გააჭენა, ისე გასწვრილებოდა გული, რომ გზა და გზა ფიქრობდა, როდის მივაღწევ ნეტავი ჩემის ასულის სასახლემდისო. ალადინმა წინათვე იცოდა, რაც უნდა მომხდარიყო და ამიტომაც ხელმწიფეს მოელოდა თავის სასახლის კარის ბჭეში. შორიდგანვე თვალი რომ მოჰკრა, ძირს ჩავიდა და ხელმწიფეს მიეგება დიდის კიბის უკანასკნელს საფეხურზე და უშველა და ცხენიდგან გადმოსვა.

– ალადინ, – წარმოსთქვა მეფემ, – მე შენ ვერას გეტყვი, ვიდრე არ ვნახავ ჩემს ასულს და ვიდრე არ მოვეხვევი მას.

შებრძანდნენ სასახლეში. სეფექალის დანახვაზე კინაღამ გული არ წაუვიდა მეფეს და დიდხანს ხმა ვერ ამოიღო. ასრე უზომოდ უყვარდა მამას თავისი ასული.

მღელვარება რომ დაეცხროთ, სეფექალმა უამბო ხელმწიფეს, თავის მამას, ყოველივე, რაც შეემთხვა და მამა და-



არწმუნა, რომ თვითონ მისი ასული გახდა მიზეზად სასახლის მოტაცებისა . მაშინ ხელმწიფე მოეხვია აქნობამდის შორს მდგომს ალადინს, და მერე, ნიშნად იმისა, რომ იგი შეურიგდა სიძეს, ბრძანება გასცა, რათა ეს ამბავი მთელს ქალაქში მოეფინათ საყვირების დაყვირებითა, სპილენძ-ჭურთა (ცემითა და ნაღარის კვრით. ამავე დროს ხელმწიფემ თავის შვილების დაბრუნების სახსოვრად დააწესა ათის დღის დღესასწაული.

ამგვარად ალადინი მეორედაც გადურჩა ფათერაკს, რომელმაც კინაღამ არ მოუსპო სიცოცხლე. მაგრამ ეს ფათერაკიც უკანასკნელი არ იყო. მას მოელოდა მესამე განსაცდელიც, რომლის შესახებ საუბარი წინ გვიდევს.

აფრიკელ თვალთმაქცს ჰყვანდა უმცროსი ძმა, იმისავით დახელოვნებული მისნობაში. შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ვერაგობითა და ავკაცობით ეს კიდეც სჭარბობდა თავის ძმას. წელიწადმა განვლო და მან კი ჯერ არ იცოდა თავისი უფროსი ძმის ამბავი. ამიტომაც განიზრახა გაეგო, თუ სად და

რომელ ქვეყანაში იყო მისი ძმა, აფრიკელი თვალთმაქცი. თავის მისნურ გამოძიებით აღმოაჩინა, რომ მისი ძმა მოეჯადოებინა ალადინს, ხელმწიფის სიძეს, მშვენიერის სასახლის პატრონს და ჩინეთის სახელმწიფოს სატახტო ქალაქის მცხოვრებს.

შეიტყო თუ არა რაგვარი სამწუხარო ბედი სწვეოდა მის ძმას, იგი იმას კი აღარ ფიქრობდა, რომ მისი ძმა ღირსი იყო ამ სასჯელისა, არამედ იმას, რომ როგორმე სამაგიერო გადაეხადა მის მტრისათვის, ამიტომაც დაუყოვნებლივ შესკუპდა ცხენზე და ჩინეთისკენ გასწია. გარდაიარა მინდვრები და მდინარეები, გარდავლო მთები და უდაბნოები, არსად არ გაჩერდა, ითმინა მრავალი ტანჯვა-წვალება და ბოლოს მიაღწია ჩინეთის სატახტო ქალაქამდის.

მისვლის მეორე დღესვე სასეირნოდ გავიდა და იმისთანა ადგილებში ტრიალებდა საცა ხალხი ბლომად ირეოდა იწყო ქალაქის ამბების შეკრება. მაშინ ბევრს ლაპარა-



კობდნენ ერთის დედაბერის შესახებ. ამბობდნენ, რომ ხელსა და პირისახეზე დაკვირვებით ის დედაბერი კაცს უწინასწარმეტყველებს მომავალსო, ბედსა და უბედურებასაო, ხოლო ახალგაზდა ქალებს კი – როგორი საქმროები შეხვდებათო და ვაჟებს – როდის შეირთავენ ცოლებსო, ამბობდნენ, რომ ამ დედაბრის ქუჩაში გამოსვლისავე უმალ მის გარეშემო იკრიბება დიდი გუნდი ცნობის მოყვარეთაო.

თვალმაქცის ძმამ მოისაზრა ესარგებლნა ამ შემთხვევით. დაადგა-რა ამ გარდაწყვეტილებას, მან დიდის ოსტატობით გამოიწვლილა, თუ იგი დედაბერი რომელს უბანში სცხოვრობდა, და შებინდებისას ეწვია. ურდულით დაკეტილი კარები ადვილად გააღო, შევიდა დ მერე ისევ ჩაკეტა ჩუმათ. შევიდა-რა სახლში, მთვარის სინათლეზე გაარჩია ფატიმა, რომელიც ლერწმის სელზე იჯდა. წყნარად მიუახლოვდა მას და უთხრა:

– დედაბერო, შენთან სათხოვარი მაქვს და უნდა მიშველო.

– რა სათხოვარი? დაეკითხა ფატიმა.

– აი, გამომართვი, დედაბერო, – და თვალთმაქცა მიაწოდა რაოდენიმე ოქროს ფული. ფულის დანახვამ ფატიმა ისე გაახარა, რომ კინაღამ სელიდგან ძირს ჩამოვარდა, მერე დამშვიდდა და ალერსიანად უთხრა:

– რა საქმე გაქვს?

– ორი დღით მათხოვე შენი ტანისამოსი. ხოლო ამ დროს განმავლობაში შენ კი შინიდგან არ გამოხვიდე. ორი დღის შემდეგ ისევ მოვალ, ტანისამოსს დაგიბრუნებ, მადლობასაც გადაგიხდი და ფულსაც მოგართმევ.

დედაბერს ვერ მოესაზრებინა, თუ რისთვის სთხოვდა საცმელს, ხოლო ფულის სიხარბით. დაუთმო.

– აჰა, კეთილო კაცო, თუ ეგრე გიჭირს ჩემი საცმელი, მიიღე.

ხალხის გროვა მალე მოეხვია თვალთმაქცს. ზოგი მისკენ მიეშურებოდა და ზოგი მისგან ბრუნდებოდა. ტყუილა ფატიმა



ყველას პასუხს უგებდა იმის მიხედვით, თუ ვის რა ჰსურდა შეეტყო შესახებ თვისის მომავალ ბედ-იღბლისა.

იგი ისრე მშვენიერად ჰბაძავდა ფატიმას, რომ ყველას

აფრიკელ თვალთმაქცის ძმა ქალურს ტანისამოსში.

მკითხავი ფატიმა ეგონა. ამსახით, ოვალთმაქცი, გროვა ხალხ გარშემორტყმული, სასახლის მოედნამდის მივიდა, ხოლო აქ კი, მის მაყურებელთა რიცხვი, ხალხის სიმრავლისაგამო, უფრო გადიდდა. ერთი მეორეს აღარ აცლიდა და ყველა მისკენ იწეოდა. რომელნიც მკითხავი. ფატიმას თაყვანისმცემელნი იყვნენ, იგინი



ძალით ეჩრებოდნენ ხალხში და სცდილობდნენ მიახლოვებო-

დნენ მას. ამისგამო გაიმართა ჩხუბი, გაისმა ჟრიამული და ამ ჟრიამულმა ალადინის სასახლის ოც-და-ოთხ ფანჯრიან პალატამდისაც მიაწია. იქ მაშინ სეფექალი ბადრულბუდური ბრძანდებოდა.

გაკვირვებულმა სეფექალმა ბრძანა, შემიტყეთ, რა ამბავიაო. ერთი მხევალთაგანი დაბრუნდა და მოახსენა: ფატიმა გახლავსო. მას ხალხის გროვა შემოჰხვევიაო და ამ ხალხის ჟრიამული ისმისო; ფატიმა ყველას უკითხავსო, თუ ვის როგორი მომავალი ექნებაო.

სეფექალს წინათაც ბევრი ქება სმენოდა ფატიმას შესახებ. ახლაც მოიწადინა ენახა იგი და ესაუბრნა მასთან, ოთხი მონა გაგზავნა და დაავალა, ფატიმა მომიწვიეთო.

ალადინის სასახლიდგან გამოსულ მონების დანახვაზე ხალხის გროვა დაიშალა. მონებმა თვალთმაქცისაკენ გასწიეს. ამან კი, მოიშორა-რა ხალხი და მისკენ მომავალი მონები რომ და- ინახა, დიდის სიხარულით თვითონვე მიეგება მათ. იგი ფიქ- რობდა, ჩემი დაწყობილება უკვე მისრულდებაო. ერთმა მონა თაგანმა უთხრა: კეთილო დედაბერო, სეფექალს ნებავს შენი ნახვა. წამობრძანდი.

- სეფექალს დიდი მოწყალება მოაქვს ჩემზედ, – მიუგო ტყუილა ფატიმამ. – მზათა ვარ აღვასრულო მისი ბრძანება.

და იმავეწამს გაჰყვა მონებს, რომელთაც სასახლეში შეიყვანეს.

როცა თვალთმაქცი, რომელიც კეთილის ფატიმას ტანისამოს ქვეშ მალავდა ბოროტსა და მზაკვრობით აღსავსე გულს, შეიყვანეს ოც-და-ოთხ ფანჯრიან პალატში, იგი, უწინარეს ყოვლისა, მიესალამა სეფექალს, მერე გრძელი სიტყვა მოახსენა და ისურვა მისთვის მრავალ ჟამიერი სიცოცხლე, კეთილ-დღეობა და ხვაშიადის აღსრულება. ტყუილა ფატიმამ რომ დაასრულა თავისი გრძელი სიტყვა, სეფექალმა მოახსენა:





– კეთილო დედაბერო, გმადლობ მოსალმებისათვის. ვენდობი შენს სიტყვას და დარწმუნებულიცა ვარ, რომ კიდეც ამისრულდება შენი ნანატრი. მომიახლოვდი და გვერდით მომიჯექ.

ტყუილა ფატიმა მიუჯდა ნაძალადევ თავაზიანობით. სეფექალმა განაგრძო:

– შენთან სათხოვარი მაქვს ერთის საგნის შესახებ და იმედიცა მაქვს უარს არ მეტყვი. ჩემთან დარჩი და შენი ცხოვრება გამაცან, რათა მეც შემეძლოს შენის კეთილის მაგალითებით ვიხელმძღვანელო. ეს არის ჩემი სათხოვარი.

– სეფექალო, – მიუგო ტყუილა ფატიმამ, – ნეტავი არ გეთხოვნა ის, რის შესრულებაც მე არ შემიძლიან, უკეთუ ჩემს ნებაზე არ ვიქნები.

– თავს ნუ შეიწუხებ ჩემის თხოვნით, – უპასუხა სეფექალმა. – ბევრი ცარიელი პალატები მაქვს. რომელიც შენთვის სა-

ხერხო იყოს, ის ამოირჩიე და შენს ხელობას უმარჯვე ისეთი-
სავე თავისუფლებით, როგორც საკუთარს შენს სახლში.

თვალთმაქცის სურვილიც ის იყო, რომ როგორმე ალა-
დინის სასახლის კარი გაჰღებოდა და ამიტომაც ხვეწნა საჭით-
რო აღარ შეიქმნა და უყოყმანოდ მიიღო სეფექალის თხოვნა.

– სეფექალო, – უთხრა მან, – ისეთს საწყალსა და უბირ დე-
დაკაცს, როგორიც მე ვარ, ბევრიც რომ ჰსურდეს უარ ჰყოს
ქვეყნიერება, მისი სიმდიდრე და დიდება, მაინც ვერ გაბედავს
ეწინააღმდეგოს თქვენისთანა მოწყალე სეფექალის ნებასა და
ბრძანებას.

ამისთანა პასუხის შემდეგ სეფექალი აბრძანდა და თვალთ-
მაქცს უთხრა:

– ადექ და მომყე. მე გიჩვენებ უბრალო ოთახებს და
რომელიც მოგეწონება, ის ამოირჩიე შენ საცხოვრებლად.

თვალთმაქცი გაჰყვა ბადრულბუდურს. ყველა ოთახთაგან,
რომელნიც უჩვენა მას სეფექალმა და რომელნიც სუფთად და
ლამაზად მოწყობილნი იყვნენ, თვალმაქცმა ამოირჩია ყველაზე



უპატარავესი, და პირფერობით მოახსენა: „ეს ოთახი უფრო
მარჯვეა ჩემთვისო და აქედგან უფრო ადვილად შემეძლება
თავი მოვაწონო სეფექალსო“.

– კეთილო დედაბერო, – მიუგო სეფექალმა, – აღტაცებუ-
ლი ვარ ჩემსა ვიხილო ისეთი დედაკაცი, რომელიც ამ სასახ-
ლეს შესძენს დიდს ბედნიერებას. მართლაცა და, სიტყვამ მო-
იტანა, როგორ მოგწონს ეს სასახლე? ვიდრე გიჩვენებდე ყვე-
ლა ოთახებს, ერთი მეორის შემდეგ, მითხარ, რასაც იგულებ
იმ პალატის შესახებ, რომელშიაც ამავწამს შეგიყვან.

და შევიდნენ ოც-და-ოთხ ფანჯრიან პალატში.

– სეფექალო, – მოახსენა ტყუილა ფატიმამ, – ეს პალატი
ჭეშმარიტად საუცხოვოა და უჩვეულებრივო სილამაზისა. ეს-
რეთის აზრისაა დედაკაცი, რომელიც განშორებია ცხოვრებას
და ვეღარ ხედავს მის მშვენიერებას. ხოლო, მიუხედავად ამისა,
მაინც, მგონია, რომ ამ პალატს კიდევ ერთი რამ აკლია.

– რა აკლია, ჩემო კეთილო დედაბერო?–დაეკითხა სე-
ფექალი, და ძრიელაც გაუკვირდა, გაუკვირდა მისთვის, რომ
ამაყობდა ჩემი სასახლისთანა სასახლე მთელს დედამიწის
პირზე არ იქნებაო – გემუდარები, მითხარ, რა აკლია ჩემს
პალატს მე კი ვფიქრობდი და სხვათაგანაც შეტყობილი
მქონდა რომ ამ სასახლეს არავითარი ნაკლი არა აქვ-
სო თუ კი მართლა რამე ნაკლი აღმოაჩნდა, ვუბრძანებ,
შეუვსონ.

– სეფექალო, – ჰკადრა ტყუილა ფატიმამ შეუდარებელის
პირფერობითა და მზაკვრობით, – მაპატიეთ ჩემის გაბედულობი-
სათვის, ჩემის მოსაზრებითა და ფიქრით, თუ ამ პალატში,
მის კამარას შუა, ჩამოჰკიდეთ როკა ფრინვლის კვერცხი,
მაშინ ამ პალატის სადარი აღარა იქნება-რა ქვეყნის ოთხსავე
კუთხეში და თქვენი სასახლე მსოფლიოს სასწაულთაგანი იქ-

ნება.

– კეთილო დედაბერო, ეგ როკა ფრინველი რა ფრინველია და სად შეიძლება მისი კვერცხის შოვნა?



– სეფექალო, როკა საკვირველი სიდიდის ფრინველია და ბუდობს კავკასიონის უმაღლესს მწვერვალზე. ამ სასახლის ხუროთმოძღვარი იმ ფრინვლის კვერცხსაც გიშოვით,

სეფექალმა მადლობა გადაუხადა ტყუილა ფატიმას კეთილი დარიგებისათვის, როგორც მას ეგონა, და სხვა საგნებზე, განაგრძო. მასთან საუბარი; ხოლო ფრინვლის კვერცხის ამბავი გულში დაიმარხა და ფატიმას აღუთქვა, რომ ალადინს მოველაპარაკები იმ კვერცხის შესახებ, როცა ნადირობიდგან დაბრუნდებაო.

უკვე ექვსი დღე გავიდა ალადინის სანადიროდ წასვლის შემდეგ და მის შინ არ ყოფნით თვალთმაქცს სურდა ესარგებლნა.

ალადინი დაბრუნდა იმავე დღეს, საღამოთი, როდესაც ტყუილა ფატიმა ის-ის იყო გამოემშვიდობა სეფექალს და მისთვის მიჩენილ ოთახში შევიდა. დაბრუნდა-რა ალადინი, იგი სეფექალის პალატაში შევიდა. ერთი წამის წინად ამავე პალატში შემოსულიყო სეფექალიცა. ალადინი მიესალამა და აკოცა ცოლს. მცირე საუბრის შემდეგ სეფექალმა, რომელსაც გულში ედო თვალთმაქცის მიერ შთაგონებული აზრი, ალადინს აუხსნა, თუ რა აკლდა მათს სასახლეს.

„განა ვერ ამჩნევ, რომ ჩვენს სასახლეს არავითარი ნაკლი არ ექნებოდა, თუ მის გუმბათის შუა კიდებულიყო. როცა ფრინვლის კვერცხიო“, ესრე დაასრულა. სიტყვა სეფექალმა.

– სეფექალო, – უპასუხა ალადინმა, – თუ დარწმუნებულიხარ, რომ ჩვენს სასახლეს აკლია როკა ფრინვლის კვერცხი, ეგეც საკმაო საბუთია ჩემთვის, რომ მეც თანახმა გაგიხდე; ჩემი გარჯილობა, როგორც დაინახავ, შენს სურვილსაც დააკმაყოფილებს. შენის სიყვარულისაგამო მზათა ვარ ყოველივე შევასრულო.

იმავწამს ალადინმა დასტოვა სეფექალი და შევიდა ოც და-ოთხ ფანჯრიან პალატში, უბიდგან ამოიღო. ლამპარი, რომელიც მუდამ თან დაჰქონდა მის შემდეგ, რაც გაუფრთხილე-



ბლობით კინაღამ არ დაიღუპა. გახეხა თუ არა ლამპარი, გრძნეული გამოეცხადა.

– გრძნეულო – უთხრა მას ალადინმა, – ამ გუმბათს აკლია როკა ფრინვლის კვერცხი, რომელიც უნდა ჩამოკიდებულ იქმნას კამარის შუა გულს. ლამპრის ძალით გიბრძანებ ახლავე შეავსო ეს ნაკლი.

ალადინს ჯერ არც კი დაესრულებინა ეს სიტყვა, რომ გრძნეულმა საზარლად და უჩვეულებრივო ხმით დაიჭეხა. ამ

ჭეხა-გრგვინვამ მთელი პალატი შესძრა, ალადინი შეტოკდა და კინაღამ მაღლიდამ ძირს არ ჩამოვარდა.

– როგორ? საძულველო! – მიაძახა მას გრძნეულმა ისეთის ძრიელის ხმით, რომელსაც წინ ვერ დაუდგებოდა თვით გულადობით განთქმული ვაჟკაციც. – ნუ თუ მე და ჩემი ამხანაგები ცოტა გემსახურეთ, რომ ახლა შენ, უმადურობით უსწორო, კიდევ მთხოვ მოგიყვანო ჩემი ბატონი და ჩამოვკიდო ამ კამარის შუაგულს! ამგვარ ბოროტ-განზრახვისათვის ღირსი ხართ რომ შენცა, შენი ცოლიცა და ეს სასახლეც ამავე წამს მტვრათ იქცეთ. მაგრამ ბედი შენი, რომ ესრეთი თხოვნა შენის გულძვირობით არ განგიზრახავს, არამედ სხვის შთაგონებით. სცან, ვინც განიგულა ესრეთი მზაკვრობა! იგია ძმა აფრიკელ თვალთმაქცისა, რომელიც შენ. სამართლიანად მგელ-კაცად აქციე. მისი ძმა ახლა შენს სასახლეში იმყოფება, აცვია ტანისამოსი ფატიმასი, რომელიც ოქროს ფულით მოაცთუნა. აი ამან ჩააგონა შენს მეუღლეს ის საზარო თხოვნა, რომლითაც მომმართე. მისი სურვილია დაგღუპოს. სიფრთხილის ზომები მიიღე!

გრძნეულმა დააბოლოვა ეს სიტყვა და გაჰქრა.

ალადინმა ყოველი სიტყვა გულში დაიმარხა. მას არა ერთხელ გაეგონა ფატიმას ამბავი და ის კი. არ იცოდა, თუ როგორის ხელოვნებით მკითხაობდა მომავალის შესახებ.

დაბრუნდა-რა სეფექალის ოთახში, რაც მოხდა, მის შესახებ მეუღლეს არა. უთხრა-რა, ხოლო სელზე ჩამოჯდა და მი-



ესვენა, და თავი ისე აჩვენა მეუღლეს, თითქოს აზრად მოსვლოდეს თვისის მომავლის შეტყობა.

– მსურს, - მოახსენა სეფექალს, – შევიტყო, რას მოასწავებს სიზმარი, რომელიც წუხელ მეზმანა.

სეფექალმა მხევლებს უბრძანა ფატიმა მომიყვანეთო, და ვიდრე მოიყვანდნენ, ბადრულბუდრმა ალადინს უამბო, რა მიზეზით ფატიმა დაებინავებინა სასახლეში, სადაც მისთვის მიეჩინა ცალკე ოთახი.

ტყუილა ფიტიმა მოვიდა და რაწამს შემოდგა ფეხი, ალადინმა უთხრა:

მოდი აქ, კეთილო დედაბერო; წუხელ მეზმანა უცნაური სიზმარი. მსურს გავიგო, რას მოასწავებს იგი. იმედია, ამიხსნი.

ალადინმა მას მიუთითა მეორე ოთახზე და სთხოვა, შედი მაგაშიო.

თვალთმაქცი დაემორჩილა და დაბლა თავის დახრით ანიშნა, რომ იგი მზათ არის შეასრულოს მისი თხოვნა. როცა თვალთმაქცი ნაჩვენებ ოთახში შევიდა, ალადინმა მოამზადა მტვერი შერეული სამსალა, რომლითაც გაუმასპიძლდა მის ძმას და მერე თვითონაც, რაოდენიმე ხნის შემდეგ, შევიდა იმავე ოთახში. მოითხოვა ღვინით სავსე. დოსტაქანი, რომელშიაც წინათვე მტვერი ჩაეყარა.

– დაბრძანდი, კეთილო დედაბერო, – უთხრა ალადინმა თვალთმაქცს, – და უწინარეს ყოვლისა, ჯან-ღონის მოსამატებლად, მიირთვი ეს ღვინო.

დოსტაქანი მიაწოდა თვალთმაქცს და მან, უყოყმანოდ და ეჭვ-მიუტანლად, ერთბაშად გადაჰკრა. იმავწამს, თავის ძმასავით, მგელ-კაცად იქცა და დაიწყო ფარფატი, თვალების ბრიალი და ბალანიც აებურძგნა. ალადინმა კარი გაუღო და მგელ-კაცა გადიკარგა.

– ეგ რა ჰქენი, – დაიყვირა გაკვირვებულმა სეფექალმა.

– აი რა, – გულგრილად უპასუხა ალადინმა. – ეგ ფატიმა



კი არა, ბოროტ-მომქმედია, რომელიც უსათუოდ მომკლავდა, თუ მგელ-კაცად არ მექცია. ეგ ბოროტი თვალთმაქცია, რომელმაც ფულით მოაცთუნა ფატიმა და მისი საცმელი გადიცვა, რომ ხანჯლით ჩავეკალი. და ბოლოს, რომ უფრო ცხადად წარმოიდგინო, იგი არის აფრიკელ თვალთმაქცის, შენის მომტაცებელის, ძმა.

ალადინმა უამბო, თუ როგორ გაიგო ყოველივე ეს წვლილად.

ამგვარად ალადინი განთავისუფლდა ორივე თვალთმაქცი ძმათა დევნისაგან და შეიქმნა უცილობელ მფლობელად სასწაულთ-მომქმედ ლამპრისა . რაოდენიმე ხნის შემდეგ ხელმწიფე გარდაიცვალა და რადგან მამრი შთამომავალი არ დარჩა, სამეფო ტახტი ერგო. სეფექალს ბადრულბუდურს, როგორც კანონიერ მემკვიდრეს, ხოლო ამან კი უზენაესი უფლება მიანიჭა ალადინს. იგინი ერთად მეფობდნენ მრავალს წელს და შეიქმნენ დასაბამად დიდებულის შთამომავლობისა.

## სიტყვათა განმარტება.

**მეთვისტონი,** იისფერი ძვირფასი ქვა, თვალი პატიოსანი.
**აფრიკა,** ნაწილია ხმელეთისა. ევროპა, აზია, ამერიკა, აფრიკა, ავსტრალია.
**ააქატი** (აკატი), პატიოსანი ქვა.
**აღაჯი,** შვიდი ვერსის მანძილი.
**აწ** (აწი), ეხლა, ახლა; აწ და მარადის, ეხლაც და მუდამაც.
**ბოლისცემა** (ბოლთა), წინ-უკან სიარული ერთსა და იმავე მანძილზე ოთახსა ანუ ეზოში.
**გაახვეს,** გააღეს.
**გაშპა,** გაჰქრა, გადიჩქმალა, უხილავი შეიქმნა.
**გამოკრული,** ბოღჩა.
**გობი,** ხის გეჯა.
**გრძნეული,** ქაჯი, გრძნების მცოდნე: „ქაჯნი მტერსა თვალსა დაუბრმობენ, ქართა აღძვრენ საშინელთა, ნავსა ზღვა-ზღვა დაამხობენ, ვითა ხმელსა გაირბენენ, წყალსა წმინდად დააშრობენ, სწადდეს, დღესა ბნელად იქმენ, სწადდეს, ბნელსა ანათობენ, სწადდეს, ვით ისარი, გადაფრინდებიან“.
**დავანება,** დაბინავება; დაივანა, დაისადგომა.
**დატკვეფილი,** პირით პირამდის ჭედით გატენილი.
**დოსტაქანი,** დიდი თასი, დიდი სტაქანი.
**ვადა,** ხმლისა და მახვილის ტარი; ვადა, გადაწყვეტილი დრო.
**ზანგი,** შავოსანი, შავი კაცი.
**ზეიმი,** სიდიადე, დიდი ამბავი (სიხარულისაგან ანუ შიშისაგან გამოწვეული).
**ზენაარი** (ზენა), ზეით მყოფი, ღმერთი, ღვთაება.

– II –

**თვალთმაქცი,** ცბიერი, მომატყუებელი, მომაცთუნებელი.
**თილისმა,** მოჯადოება, ჯადო.
**იასპინი,** იაშმის ქვა.
**ლავგარდანი,** გრეხილი შენობისა.
**ლარნაკი,** ძვირფასეულის ჩასაწყობი ჭურჭელი ან ოთახი.
**მაგიდა,** სტოლი, ტაბლაკი.
**მეწდე,** ღვინის დამსხმელი.
**მიანიჭა,** მისცა, უბოძა; მინიჭება, მიცემა, ბოძება.
**მოხეშა,** მორჯულება, მოჭკვიანება, მოღუნვა.
**მსახურთ-უხუცესი**, მსახურების უფროსი.
**მსაჯულთ-უხუცესი**, მოსამართლეთა უფროსი, უმთავრესი მსაჯული.
**მღვიმე,** მიწაში შთათხრილი ხარო, დიდი ხვრელი ან გამოქვაბული. „შიო-მღვიმე“, „ღვიმის მონასტერი“.
**მხევალი,** მოსამსახურე ქალი, მოახლე ქალი.
**ნაშალი,** ხურდა.
**ოფიკალი,** ოფიცარი (აფიცერი).

**პაემანი,** ვადა, პირობა, შეპირებული დრო.
**პალატი,** დიდი ოთახი, დარბაზი.
**ჟამი,** დრო, საათი, ხანი; ჟამი, სნეულება, ჭირი (ადამიანებისა).
**სავალალო,** სამწუხარო, სანაღვლო.
**სამარადისოდ,** სამუდამოდ, ყოველ ჟამს, მიწყივ.
**სამისნო,** მისნური; მისანი, მომავალის გამომცნობელი, მკითხავი.
**სატანი,** შესატანი ხორაგეული პურსა და წვენს გარდა.
**საქულბაქე,** ქულბაქი, სავაჭრო სადგური, დუქანი.
**სეფექალი,** ბატონიშვილი, მეფისა ანუ დიდებულთა ასული.
**სეფეწული,** ბატონიშვილი ანუ მეფისა და დიდებულთა წული.
**სპილენძ-ჭური,** ქოს-ნაღარა, ნაღარა სპილენძისა.
**რიდე,** თავზედ მოსახვევი შალი.
**ფათერაკი,** მოულოდნელი უბედურება, უეცარი განსაცდელი.
**ფოლორცი,** მოედანი, შუაბაზარი.
**ქისა** (ქესა), ფულის ჩანთა; აბანოს ქისა ტანის სახეხად.
**ყულფი,** სალტა სარქველისა, ხუფისა და სხ.
**შესატყვისი,** მართებული, დიდ-ზეიმიანი, ჩინებული.
**შუკა,** ქუჩა.
**ჩინეთი,** დიდი სახელმწიფოა აზიაში.
**წინწილი,** ტკბილი საკრავი, სიმებიანი.
**ხვაშიადი,** გულის პასუხი, გულს ნადები საიდუმლოება.
**ჯადოქრობა,** ჯადო, მოხიბლვა, მოჯადოება.

---

## მ. ბ. ჯანაშვილის

თხზულებანი და გამოცემანი:

ა) საქართველოს ისტორია. მეორე გამოც. გვ. 503. ფ. 70. კ.
ბ) საქართ. საეკკლესიო ისტ. გვ. 152. ფ. 45
გ) ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა. გვ. 104, ფ. 40 კ.
დ) საუნჯე მეათე საუკუნისა გვ. 53. ფ. 20. კ.
ე) მწერლობა მეათე საუკუნისა. გვ. 48. ფ. 40 კ.
ვ) აღვადგინე! გვ. 136. ფ. 30 კ.
ზ) საქართველოს გეოგრაფია:
სამცხე (ვახუშტისა). გვ. 118. ფ. 25 კ.
ქართლი (ვახუშტისა). გვ. 114. ფ. 25 კ
ᲗᲘ) ათას ერთი ღამე ფ.

დაუბეჭდავნი:

თ) თამარ მეფე.
ი) შოთა რუსთაველი.
ია) მეფე ერეკლე II.
იბ) მერცხლის ბუდე.

## იბეჭდება

ნახატებიანი წიგნი

## შოთა რუსთაველი.

შინაარსი:

I შოთა რუსთაველი (რუსთაველის წინა დროის მწერლობა. – პოეტის ბიოგრაფია – „ვეფხის ტყაოსნის“ ბეჭვდისა და შესწავლის ისტორია. – აზრი დ მსჯელობა პოეტის შესახებ მეფე ვახტანგ სჯულმდებელისა, დ. ჩუბინაშვილისა, მ. ბროსესი, ბარონ სუტნერისა, გულაკისა, აკაკი წერეთლისა, ილია ჭავჭავაძისა, გ. წერეთლისა, ა. ხახანაშვილისა, ნ. მარისა, პლ. იოსელიანისა, ა. ნანეიშვილისა, ვაჟა ფშაველასი და ჩვენი).
II „ვეფხის ტყაოსნის“ თხრობა (მოკლედ)
III რუსთაველის აზრი და მსჯელობა პოეზიასა და მგოსანთა შესახებ.
IV რუსთაველის ლოცვა.
V რუსთაველის არაკნი.
VI დაგვირგვინება თინათინისა.
VII ავთანდილის მიერ მეკობრეთა დამარცხება.
VIII მღერა ავთანდილისა.
IX ტარიელის ნადირობა.
X ქაჯთა ქალაქის აღება და ტყვეობიდგან გამოხსა ნესტან დარეჯანისა.
XI ქორწილი ტარიელისა და ნესტან დარეჯანისა ფრიდონისას.
XII ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა.

XIII რუსთაველის სიბრძნენი და თქმულობანი.
XIV „ვეფხის ტყაოსნის“ ლექსიკონი.

---